ფონდი „სოხუმი“ FUND "SUKHUMI"

სკოლები

გენდერული თანასწორობის, გენდერული სტერეოტიპების, ოჯახში ძალადობის

გამოწვევების პირისპირ

2020

სკოლები

გენდერული თანასწორობის, გენდერული სტერეოტიპების და ოჯახში ძალადობის

გამოწვევების პირისპირ

სარჩევი

1. შესავალი - კვლევის აქტუალობა და პრობლემის არსი 3

2. ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიზანი და მეთოდოლოგია 5

3. სახელმწიფოს სამართლებრივი ვალდებულებები და სტანდარტები 6

4. სკოლასა და მასწავლებლებში გენდერული სტერეოტიპების შესახებ კვლევები 12

5. არსებული გენდერული სტერეოტიპები სკოლაში - ფონდი „სოხუმის“ მონიტორინგის მიგნებები 17

5.1. სკოლის როლი გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლაში 20

5.2. გოგონების ხელმისაწვდომობა განათლებაზე 22

5.3. გენდერული სტერეოტიპები სახელმძღვანელოებში და სტერეოტიპებთან ბრძოლა სწავლის პროცესში 23

5.4. მასწავლებელთა გადამზადების მნიშვნელობა სკოლაში გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრისთვის 26

6. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი სკოლაში გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლაში 29

7. ეკლესიის ჩართულობა სკოლაში და გავლენა გენდერულ სტერეოტიპებზე 33

7.1. ეკლესიის ჩართულობა - მონიტორინგის მიგნებები 34

8. სკოლის როლი ოჯახში და ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში 36

8.1. ბავშვთა მიმართ ძალადობაზე სკოლის რეაგირების ხარისხი - მონიტორინგის მიგნებები 39

9. დასკვნა და რეკომენდაციები 46

გამოყენებული ლიტერატურა 49

დაიბეჭდა გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაცია

Brot für die Welt

Brot für die Welt – Evangelischer Entwicklungsdienst

მხარდაჭერით

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

1. შესავალი - კვლევის აქტუალობა და პრობლემის არსი

ქალთა მიმართ ძალადობა და გენდერული უთანასწორობა, მთელი მსოფლიოს მსგავსად, ერთ–ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა საქართველოში. კვლევის მიხედვით, **საქართველოში ცხოვრების განმავლობაში გენდერული ნიშნით ძალადობა ოთხიდან** ერთ ქალს განუცდია.[1] გენდერულ უთანასწორობას საფუძვლად უდევს და ამყარებს ტრადიციული ნორმები, შეხედულებები ქალის როლის შესახებ. კვლევებით გამოვლენილია უსამართლო გენდერული ნორმების მიმართ მიმღებლობის ტენდენციები და, საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ, ქალის როლის სტერეოტიპული აღქმა.[2] ქალთა ემანსიპაციის მხრივ თვალშისაცემი პროგრესის მიუხედავად, კაცებს უპირატესი პოზიციები უკავიათ საზოგადოებაში და ეს გენდერული სტერეოტიპები თაობიდან თაობას გადაეცემა.[3] ყოველივე ეს გავლენას ახდენს მთელი ქვეყნის მომავალზე, რადგან გენდერული უთანასწორობა, შესაძლოა, ეკონომიკის ზრდის და სიღარიბის შემცირების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი იყოს.[4]

საერთაშორისო აქტები, მათ შორის სტამბოლის კონვენცია, აღიარებს **ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობის, სტრუქტურულ ბუნებას** და იმას, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ერთ-ერთი ის მთავარი სოციალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ქალები იძულებულნი არიან, დაიკავონ მამაკაცებთან შედარებით დაქვემდებარებული მდგომარეობა[5] და ამ პრობლემას სისტემური პასუხის გაცემა სჭირდება.[6]

გენდერული როლების შესახებ საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმული გენდერული სტერეოტიპები ანუ გაბატონებული შეხედულებები ქალისა და მამაკაცის მახასიათებლებისა და როლების, მათი ქცევის მისაღები მოდელების შესახებ[7] ხელს უშლის გენდერული თანასწორობის მიღწევას, ქალთა დისკრიმინაციის, ოჯახში ძალადობის აღმოფხვრას.

---

1 „ახალი ეროვნული კვლევის მიხედვით, საქართველოში შვიდიდან ერთი ქალი ოჯახში ძალადობას განიცდის"; ხელმისაწვდომია – https://bit.ly/369JHH6

2 მაგალითად, ქალის ყველაზე მნიშვნელოვან როლად სახლში წესრიგის შენარჩუნება მიაჩნია (ქალების 66% და კაცების 78%), ასევე ეთანხმება იმ აზრს, რომ ქალი უნდა ემორჩილებოდეს კაცს იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმება (ქალების 23% და კაცების 42%). რესპონდენტები იმ ქალებს, ვინც არის დამოუკიდებელი, ძლიერი და ლიდერის ხასიათი აქვთ, აღწერდნენ და მოიხსენებდნენ როგორც „კაცურ ქალს" - ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017 წ., გვ.: 62, 64, 68, 106; ხელმისაწვდომია – https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/national%20vaw%20study%20report%20geo.pdf?la=ka&vs=0

3 კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში, 2014 წ.; ხელმისაწვდომია – https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/Men_and_Gender_Relations_in_Georgia.pdf

4 გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ზოგად განათლებაში - შეხვედრების სერია; ხელმისაწვდომია – http://www.mcageorgia.ge/index.php/main/read_news/128

5 იქვე, პრეამბულა

6 იქვე, მუხ.: 7.1

7 გენდერული სტერეოტიპების განმარტება, Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი; ხელმისაწვდომია – http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=9581

პატრიარქალური გენდერული სტერეოტიპები საქართველოს მოსახლეობაში მყარია.[8] სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ აღნიშნულია, რომ ხშირ შემთხვევაში, დისკრიმინაციას საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და არასწორი აღქმები იწვევს, თუმცა მათ დასაძლევად სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ღონისძიებები ნაკლებად ტარდება, ხოლო ამ მხრივ ქალები ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფია.[9]

გენდერული სტერეოტიპების პრობლემის სერიოზულობას კარგად აჩვენებს გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდი) საგანგაშო სტატისტიკა. საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, 2019 წელს ქალის მკვლელობის 19 ფაქტი გამოვლინდა, საიდანაც ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი იყო 10.[10] 2020 წელს მხოლოდ ორ თვეში 8 ქალი მოკლეს.[11]

სკოლას განსაკუთრებული როლი აქვს გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ, სქესის ნიშნით დისკრიმინაციისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და ცნობიერების შეცვლაში. ძალადობის მსხვერპლი ქალები ყოველთვის აღნიშნავენ, რომ მოძალადის დასჯა არ არის საკმარისი მათი უსაფრთხოებისთვის, საჭიროა გარდაქმნები ცნობიერების დონეზე. ეს ყველაზე კარგად განათლების სისტემას შეუძლია, მან უნდა აღზარდოს გენდერული სტერეოტიპებისა და მოძველებული პატრიარქალური კულტურული ნორმებისგან თავისუფალი ადამიანები, რომლებიც უარს იტყვიან ძალადობრივ ურთიერთობებზე.

სკოლა არის დაწესებულება, რომლის ხელშიც, ფაქტობრივად, ყველა მოქალაქე გადის, ასეთი ფართომასშტაბიანი შეხება ადამიანებთან, შესაძლოა, სხვა არც ერთ ინსტიტუტს არ ჰქონდეს. ასევე იქ ყალიბდება ახალი თაობა, რომლის ცოდნა და ღირებულებები განსაზღვრავს მომავალს. უთანასწორობით გაჯერებულ გარემოში მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, რადგან შეიძლება ერთადერთი ადგილი იყოს, სადაც ახალგაზრდების სწორი ცნობიერებით აღზრდის პერსპექტივა არსებობს. ამდენად, სკოლა საუკეთესო ადგილია გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

---

8 კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში, 2014 წ., გვ.: 8-9

9 სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის თაობაზე - 2019; ხელმისაწვდომია – http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-qoveltsliuri-saparlamento-angarishi-adamianis-uflebebisa-da-tavisuflebebis-datsvis-mdgomareobis-taobaze-2019

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი; ხელმისაწვდომია – http://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf?fbclid=IwAR0P6u0NhYdNa1CspCH4ym414rokVx3DqPFEU1r6k86LE8H5BKgO7xT41oY

10 სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის თაობაზე - 2019

11 ქალები ფემიციდის წინააღმდეგ – 8 მარტს ფილარმონიასთან აქცია გაიმართება; ხელმისაწვდომია – https://netgazeti.ge/news/431959/

2. ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიზანი და მეთოდოლოგია

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კუთხით, ფონდმა „სოხუმმა“, გერმანული საერთაშორისო ორგანიზაციის „Brot für die Welt“-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში, 2019-2020 წწ. დეკემბერ-მარტში განახორციელა სკოლების მონიტორინგი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული გენდერული სტერეოტიპების, მასწავლებელთა დამოკიდებულების, გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ სკოლების მუშაობის შესაფასებლად.

წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია სამაგიდე და თვისებრივი კვლევის მეთოდები - ჩაღრმავებული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფი. კვლევამ მოიცვა დასავლეთ საქართველოს 11 მუნიციპალიტეტის[12] საჯარო სკოლების დირექტორები, მასწავლებლები, რესურსცენტრის თანამშრომლები, განათლებისა და გენდერის ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ სკოლებში, მშობლები და ყოფილი მოსწავლეები. ჩაღრმავებულ ინტერვიუში მონაწილეობდა 32 ადამიანი, ხოლო ფოკუს-ჯგუფში - 31. რესპონდენტთა საერთო რაოდენობამ შეადგინა - 63.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი, ისე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები. ასევე გამოყენებულ იქნა ამ საკითხზე სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები და ანგარიშები.

12 მონიტორინგმა მოიცვა შემდეგი რეგიონები: იმერეთი - ქუთაისის, წყალტუბოს, ბაღდათის, ხონის, თერჯოლის, სამტრედიის მუნიციპალიტეტები; გურია - ოზურგეთის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები; სამეგრელო - სენაკის, წალენჯიხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტები.

3. სახელმწიფოს სამართლებრივი ვალდებულებები და სტანდარტები

საქართველოს კანონმდებლობით დაცულია ქალების უფლებები განათლების მიღების სფეროში. ქვეყნის **კონსტიტუციის** თანახმად, აკრძალულია გენდერული დისკრიმინაცია და სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობა.[13] აგრეთვე, გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით, დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფილია ქალისა და მამაკაცისათვის განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა და განათლების, სპეციალობის თავისუფალი არჩევანი სწავლების ყველა ეტაპზე.[14]

ეს უფლებები აღიარებულია სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებით. სახელმწიფოს არაერთი საერთაშორისო აქტით აკისრია ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, განათლების სფეროში უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა სწავლება. **„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს კონვენციის** მე-10 მუხლის მიხედვით, ***„სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს, სწავლების ყველა დონეზე და ყველა ფორმაში, მამაკაცთა და ქალთა როლის ნებისმიერი სტერეოტიპული კონცეფციის აღმოფხვრა, მათ შორის, სახელმძღვანელოების და სასკოლო პროგრამების გადასინჯვის და სწავლების მეთოდების ადაპტაციის გზით“.***[15]

იუნესკოს კონვენცია „განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“[16] არა მხოლოდ უკანონოდ აცხადებს ნებისმიერი ფორმის, მათ შორის, სქესზე დაფუძნებულ დისკრიმინაციას განათლებაში, არამედ ადგენს, წაახალისოს განათლებაში შესაძლებლობისა და ყველასთვის თანასწორი მოპყრობის, ასევე განათლებაში დისკრიმინაციის გამომწვევი ნებისმიერი ადმინისტრაციული პრაქტიკის შეწყვეტის ვალდებულება.[17]

გაეროს **„კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“** ავალდებულებს სახელმწიფოს, **აღმოფხვრას** სწავლების ყველა დონეზე და ყველა ფორმაში **მამაკაცთა და ქალთა როლის ნებისმიერი სტერეოტიპული კონცეფცია** სახელმძღვანელოებსა და სასკოლო პროგრამებში; სკოლადაუმთავრებელ გოგონათა რიცხვის შემცირებას და ნაადრევად სწავლის შეწყვეტისას, მათთვის სპეციალური საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდებას.[18]

---

13 საქართველოს კონსტიტუცია, მუხ,: 11.1; 11.3; ხელმისაწვდომია – https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

14 საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხ.: 4.2.ბ; 7; ხელმისაწვდომია – https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=8

15 „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს კონვენცია, მუხ.: 10.c; ხელმისაწვდომია – http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf

16 გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია - განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია; ხელმისაწვდომია – https://matsne.gov.ge/ka/document/view/4466863?publication=0

17 იქვე, პრეამბულა, მუხ.: 1.1; 3(ა)

18 „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, გაეროს კონვენცია, მუხ.: 10; ხელმისაწვდომია; ხელმისაწვდომია – http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf

ბავშვის განათლება გამიზნული უნდა იყოს იმისკენ, რომ ბავშვი მომზადდეს მამაკაცებისა და ქალების თანასწორობის სულისკვეთებით.[19]

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია **(სტამბოლის კონვენცია)** ავალდებულებს სახელმწიფოს, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა **აღმოიფხვრას ის ცრურწმენები, ადათ-წესები, ტრადიციები და ყველა სხვა პრაქტიკა, რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპულ წარმოდგენებს.**[20] კონვენცია პრევენციის კუთხით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განათლების საკითხს და ხაზს უსვამს სასწავლო პროგრამებში, განათლების ყველა დონეზე ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის, არასტერეოტიპული გენდერული როლების სწავლების, სპეციალისტების პროფესიული მომზადების მნიშვნელობას.[21]

თანასწორობის პრინციპები დაცულია ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტებითაც. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული **„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“** მიხედვით, „საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.“[22] **ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია** ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება.[23]

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, მოსწავლეებს მიაწოდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლება, რომელიც ეფუძნება თანასწორობის პრინციპს.[24]

საქართველოში ახლახან მიღებული **„ბავშვის უფლებათა კოდექსით“,**[25] ბავშვის განათლების მიზნებს შორისაა: ბავშვში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ პატივისცემის გრძნობისა და თანასწორობის სულისკვეთების განვითარება.

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელება ევალება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსაც[26] (შემდეგში - სამინისტრო), მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიკაციის და რეაგირების კუ-

---

19 კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“, მუხ.: 29.1.დ; ხელმისაწვდომია – https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0

20 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხ.: 12.1; ხელმისაწვდომია –https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

21 იქვე, მუხ.: 14; 15.1; 28

22 აქ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის #84 დადგენილება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ“; ხელმისაწვდომია – https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0

23 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხ.: 3.1.ბ, ხელმისაწვდომია – https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=87&fbclid=IwAR2fIN-q-IhOxAsCBif0ZDn0B3ZdxBioZ0arvYMuQmTbOaEN_6lSSJ0JDZs

24 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ მუხ.: 33.1.“ა“ , „კ“

25 კოდექსი სრულად ამოქმედდა 2020 წლის 1 ივნისიდან
საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუხ.: 101; ხელმისაწვდომია –
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=0

26 საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხ.: 7.1; ხელმისაწვდომია –
https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=15

თხით.[27] 2020 წლის 1 სექტემბრიდან სახელმწიფო უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ მიმართული კომპონენტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებას.[28]

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, ყველა მასწავლებლის პროფესიული მახასიათებელი უნდა იყოს თანასწორობის პრინციპებისა და **მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დაცვა.**[29] ამ უკანასკნელის მიხედვითაც, მასწავლებელი პროფესიული ვალდებულების შესრულებისას ხელს უწყობს მოსწავლეებში დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას; ურთიერთპატივისცემისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მაგალითს აძლევს მოსწავლეებს. იგი ვალდებულია, შესაბამის პირს მიაწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება.[30] სტანდარტს ჯერ კიდევ სჭირდება დახვეწა და გენდერული თანასწორობის საკითხების უფრო მკაფიოდ ასახვა. სამწუხაროდ, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში ადამიანის უფლებების საბაზისო ცოდნის მოთხოვნის შესახებ სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია ჯერაც არ შესრულებულა.[31]

განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება, მასწავლებლების გადამზადება, ზოგადი განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის დანერგვის ხელშეწყობა, **გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა გათვალისწინებული იყო სამთავრობო სამოქმედო გეგმებსა**[32] **და პოლიტიკის დოკუმენტებში.**

ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების ანგარიშის მიხედვით, **მასწავლებლებისთვის შემუშავებულ ტრენინგ-მოდულებში გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინება ნაწილობრივაა შესრულებული.** ამ პერიოდში განხორციელდა რამდენიმე პროექტი, მათ შორის, მომზადდა ტრენინგ-მოდული, ჩატარდა ტრენინგები, მოსწავლეებმა გადაიღეს ვიდეოფილმები. აღსანიშნავია, რომ **გამარჯვებული ფილმი სწორედ გენდერულ სტერეოტიპებს ეხებოდა.**[33]

---

27 იქვე, მუხ.: 14[1].1

28 იქვე, მუხ.: 7.5; საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, მუხ.: 2.1.; 3.2.

29 მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მუხ.: 4.გ,თ
იხ.: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 ივნისის №92/ნ ბრძანება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“; ხელმისაწვდომია – https://matsne.gov.ge/ka/document/view/3658522?publication=0

30 მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხ.: 3.3-5,8; 20[1]; ხელმისაწვდომია – http://old.tpdc.ge/uploads/pdf_documents/maszavleblis_eTikis%20kodeqsikodeqsi.pdf

31 2019 წლის ანგარიში, გვ.: 318

32 საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016-2017 წლებისთვის), საქმიანობა -13.1.2.1-13.1.3.1; ხელმისაწვდომია – https://matsne.gov.ge/ka/document/download/3350412/0/ge/pdf

33 საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების ანგარიში, გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება, გვ.: 255-256; ხელმისაწვდომია – http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/6971Report2016-2017.pdf

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და მსხვერპლთა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სატრენინგო მოდულების მომზადება და პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერება ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, მათ შორის მასწავლებლებისთვის. სამინისტროს, როგორც ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის განმახორციელებელ და მომსახურების მიმწოდებელ უწყებას, სამთავრობო სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, დაევალა ყოველწლიური შიდა სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება ან უკვე არსებულ შიდა ინსტიტუციურ სამოქმედო გეგმაში ინტეგრირება. სამინისტროსა და სხვა რელევანტურ უწყებებს ევალებათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ან/და ტრენინგების განხორციელება.[34]

სამოქმედო გეგმის (2018-2020) 2018 წლის შესრულების ანგარიშის მიხედით, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად სამინისტრო იყენებს მოდულს „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“, რომელიც მოიცავს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებს.[35] ამ მოდულით 2018 წლიდან ტრენინგი გაიარა 5749 პედაგოგმა,[36] რაც მასწავლებელთა საერთო რაოდენობასთან შედარებით ძალზე ცოტაა.[37]

სახალხო დამცველის შეფასებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2016-2019 წლების სტრატეგიის ანალიზი არ მიუთითებს იმაზე, რომ მასწავლებლებისთვის ადამიანის უფლებათა საკითხებისა და მათი საგაკვეთილო პროცესში დანერგვის შესახებ ცოდნის მიწოდება სტრატეგიული პრიორიტეტია. ცენტრს, ამ ეტაპზე, არც მასწავლებლებისთვის ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი ტრენინგ პოლიტიკის დოკუმენტი აქვს შემუშავებული.[38]

პოლიტიკის დონეზე, სახელმწიფო სათანადოდ არ უპირისპირდება საგანმანათლებლო სისტემაში გენდერულ სტერეოტიპებს და ნაკლებად მიმართავს პრევენციულ ზომებს. მისი როლი უმეტესწილად რეაგირებით შემოიფარგლება. სპეციალისტთა აზრით, მნიშვნელოვანია, სამოქმედო გეგმებში მეტი აქცენტი გაკეთდეს საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპების შეცვლაზე.[39]

ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, სკოლა უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ ფორუმს სახელმწიფოს, საზოგადოებასა და ახალ თაობას შორის

---

34 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 აპრილის №175 დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“; ხელმისაწვდომია – საქმიანობა 2.1.6- 2.1.7; 3.1.2; 3.2.1
- https://matsne.gov.ge/ka/document/view/4144947?publication=0

35 სამოქმედო გეგმის (2018-2020) 2018 წლის შესრულების ანგარიში, გვ.: 18; ხელმისაწვდომია – http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/3660EVAW%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%982018.pdf

36 სამოქმედო გეგმის (2018-2020) 2018 წლის შესრულების ანგარიში, გვ.: 20

37 „საქსტატის“ მონაცემებით, 2019/2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული იყო 63 780 პედაგოგი; ხელმისაწვდომია – https://www.interpressnews.ge/ka/article/575378-2018-2019-sascavlo-cels-12-000-ze-metma-moscavlem-scavla-shecqvita

38 2019 წლის ანგარიში, გვ.: 319

39 საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი, გვ.: 30-31, 45; ხელმისაწვდომია – http://www.parliament.ge/uploads/other/75/75669.pdf

დიალოგისთვის. მისი მეშვეობით სახელმწიფოს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ძალადობის პრევენციაში, მოსწავლეთა გონებრივად და ემოციურად მომზადების გზით.[40]

სამართლებრივი და პროფესიული სტანდარტების დადგენის მხრივ, პროგრესული დებულებების მიუხედავად, **გამოწვევები ჯერ კიდევ რჩება.** ადამიანის უფლებათა შესახებ გარკვეული ცოდნის მოთხოვნა ასახულია მხოლოდ საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის სტანდარტებში. რაც ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა საკითხებში კომპეტენცია მხოლოდ საზოგადოებრივი მეცნიერების მასწავლებლებს მოეთხოვებათ, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტში არ გვხვდება ადამიანის უფლებათა საკითხები.[41] მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ზოგადი ნაწილი არ მოიაზრებს კომპეტენციებს ადამიანის უფლებათა სფეროში, თუმცა გვხვდება ჩანაწერები ინტერკულტურული სწავლებისა და ინკლუზიური განათლების შესახებ.[42]

გამოწვევები არსებობს სასკოლო სახელმძღვანელოების სტანდარტის კუთხითაც. 2016 წელს შემუშავდა **სახელმძღვანელოს შინაარსობრივი შეფასების კრიტერიუმების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებდა სახელმძღვანელოს შეფასებას გენდერული თანასწორობის თვალსაზრისითაც.[43] სამინისტროს მიერ დამტკიცებული ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების **სახელმძღვანელოს რეცენზირების კრიტერიუმები** მოიცავს მოთხოვნებს, რომ **სახელმძღვანელო თავისუფალი უნდა იყოს, მათ შორის, სქესის ნიშნით სტერეოტიპული, არაკორექტული და დისკრიმინაციული ელემენტებისგან; ტექსტებსა და ილუსტრაციებში დაცული უნდა იყოს სქესის ნიშნით თანასწორობა; ილუსტრაციები და შინაარსი თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი სახის ძალადობის წამაქეზებელი მოწოდებისგ**ან.[44] სახელმწიფოს ვალდებულების მიუხედავად, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის შეფასებული სასწავლო მეთოდებისა და პროგრამების გენდერული მგრძნობელობა.[45]

დღემდე გამოწვევად რჩება **რესურსცენტრების აქტიური საქმიანობა გენდერული პოლიტიკის განხორციელებაში და ძალადობის პრევენციის მიზნით გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის მიმართულებით პროაქტიული მოქმედება.** მიუხედავად იმისა, რომ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საგანმანათლებლო რესურსცენტრს დებულებით ევალება მის სამოქმედო ტერიტორიაზე შესაბამისი ღო-

---

40 ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია (სამუშაო ვერსია), გვ.: 17; ხელმისაწვდომია – https://police.ge/files/pdf/dzaladobis%20strategia%20saitze%20dasadebi.pdf

41 სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ.: 948, 951; ხელმისაწვდომია – http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf

42 სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, გვ.: 950

43 იქვე, გვ.: 256

44 „ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის #768 ბრძანების დანართი N1 - 5. შესაბამისობა სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან; ხელმისაწვდომია – https://www.mes.gov.ge/uploads/griphireba/files/222.pdf

45 სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში, გვ.: 313; ხელმისაწვდომია – http://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf?fbclid=IwAR0P6u0NhYdNa1CspCH4ym414rokVx3DqPFEU1r6k86LE8H5BKgO7xT41oY

ნისძიებების (ტრენინგების, სემინარების და სხვა) ორგანიზებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადამიანური რესურსების განვითარებაზე ზრუნვა, სამინისტროს მიერ შემუშავებული ნოვაციების და პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა (რაც გულისხმობს ასევე გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის და გენდერული თანასწორობის დანერგვის მიმართულებით გარკვეული ღონისძიებების დაგეგმვას და ხელშეწყობას), ასევე სკოლებში სასწავლო პროცესისა და გარემოს მონიტორინგი და შეფასება, სასწავლო პროცესისა და გარემოს გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება[46]. თუმცა, ამ მიმართულებით რესურსცენტრების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ არაფერია ნათქვამი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის საქმიანობის ანგარიშში[47]. საკმაოდ სუსტია რესურსცენტრების მხრიდან ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ხარისხიც.

საგულისხმოა, რომ ძალადობის პრევენციის მიზნით, შესაბამისი საგანმანათლებლო კამპანიების და ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების პროცესში მონაწილეობა ევალება **მანდატურის სამსახურსაც,** რომელსაც, გარდა ამისა, ეკისრება ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევა ფსიქოლოგიური პრობლემების, ქცევითი და ემოციური დარღვევების მქონე მოსწავლეების, მათი მშობლებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის.[48] თუმცა მანდატურის სამსახურის აქტიური მუშაობა გენდერული სტერეოტიპების და ძალადობის აღმოფხვრის და პრევენციის მიმართულებით საკმაოდ სუსტია. პრობლემად რჩება ისიც, რომ მანდატურის სამსახური არ არის წარმოდგენილი საქართველოს მასშტაბით არსებულ ყველა სკოლაში. მცირეკონტინგენტიან სკოლებში მანდატურის სამსახურის ფუნქციას გარკვეულწილად ითავსებენ დირექტორის ბრძანებით სკოლაში მომუშავე ცალკეული პირები, თუმცა მათი არასაკმარისი კვალიფიკაციის და საკმაოდ მცირე ხელფასის გამო, აღნიშნული ფუნქციის ჯეროვნად შესრულება პრაქტიკულად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

---

46 საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #47ნ, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხ. 2, 14.03.17; ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3606347?publication=0

47 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში; ხელმისაწვდომია – https://mes.gov.ge/publicInfo/?page_id=103

48 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №141/ნ, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 3, 12.07.2019; ხელმისაწვდომია – http://mandaturi.gov.ge/image/data/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/Debuleba.pdf

4. სკოლასა და მასწავლებლებში გენდერული სტერეოტიპების შესახებ კვლევები

სამართლებრივი სტანდარტები ბევრად უსწრებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ პრაქტიკას და, ამდენად, დეკლარირებული პრინციპების დონეზე რჩება. სპეციალისტთა კვლევები და წინამდებარე მონიტორინგიც ნათლად ადასტურებს, რომ **ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო სკოლების ცხოვრებაში გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად** და თანასწორობის დასამკვიდრებლად.

2018 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის მიხედვით, საქართველო 149 ქვეყანას შორის 99-ე ადგილს იკავებს (0,677 ქულით), რაც მსოფლიოში საშუალო ნიშნულს ჩამორჩება. განათლების მიღწევებით კი მე-60 ადგილზეა.[49]

გენდერული სტერეოტიპები აქტუალურია განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაშიც. უპირატესობა ენიჭება ბიჭების და, ზოგადად, მამაკაცების მიერ განათლების მიღებას. 2017 წელს, გაეროს კვლევის თანახმად, საზოგადოების დიდი ნაწილი უპირატესობას ანიჭებს ქალების მიერ დაწყებითი განათლების მიღებას და გაცილებით ნაკლებად უჭერს მხარს გოგონების მიერ საშუალო და, განსაკუთრებით, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას.[50] ასევე სიღარიბეც ხშირად წინააღმდეგობებს უქმნის გოგონებს საშუალო და უმაღლესი განათლების გზაზე.[51] უმაღლესი განათლების გადასახადის გადასახდელად, გოგოსა და ბიჭს შორის არჩევანის შემთხვევაში, აღნიშნულ კვლევაში მონაწილე მოსახლეობის 44% თანხას ბიჭს გადაუხდიდა სწავლის საფასურს და მხოლოდ 22% - გოგოს.[52]

საზოგადოებაში არსებული მყარი გენდერული სტერეოტიპების ფონზე, ახალგაზრდების ჯანსაღი აზროვნებით აღზრდისთვის განსაკუთრებული როლი ენიჭება

49 The Global Gender Gap Report 2018, Georgia, p. 105-106; ხელმისაწვდომია – http://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2018.pdf

50 გუპტა, ტ.პ., ტეილორი, ა., ლაურო, ჯ., შენგელია, ლ., სტურუა, ლ. (2018). „ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში“ - თვისობრივი კვლევის საბოლოო ანგარიში. თბილისი, საქართველო და ვაშინგტონის ოლქი, აშშ; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, Promundo-US, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), გვ.: 47- 48; ხელმისაწვდომია – https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/Exploring%20Harmful%20Practices%20of%20EarlyChild%20Marriage%20and%20FGMC%20in%20Georgia%20GEO.pdf

51 იქვე, გვ.: 9

52 „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“, გვ.: 75; ხელმისაწვდომია – https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_Gender_Research_GEO.pdf

სკოლას. მით უფრო, რომ ძალადობის აღმოსაფხვრელად უმთავრესი რეკომენდაცია ქალთა მიმართ ძალადობის მიმღებლობასა და მათ დაქვემდებარებულ როლთან დაკავშირებული სოციალური ნორმების შეცვლაა.[53]

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ვალდებულია, აღმოფხვრას საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპები, **ხშირად თავად გვევლინება მათ გამამყარებლად.** მკვლევარები აღიარებენ სკოლის გავლენას ინდივიდთა გენდერული როლების ფორმირებაზე. ამის საპირისპიროდ, განათლების პოლიტიკა მეტწილად ნაკლებად ცნობს სკოლის სოციალიზაციის აგენტის როლს.[54]

სკოლაში გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოებას ხელს უწყობს სასწავლო მასალები. ყველა საგნისა და კლასის სახელმძღვანელოთა დიდი ნაწილი დატვირთულია გენდერული სტერეოტიპებით[55]. მკვლევართა შეფასებით, სახელმძღვანელოები ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია სკოლაში გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებისათვის.[56] კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში, სახელმძღვანელოების ტექსტში, ილუსტრაციებში, ისტორიულ წყაროებსა და სასწავლო აქტივობებში, ქალები ნაკლებად არიან წარმოჩენილები. მამაკაცები ტრადიციულ როლში არიან - მებრძოლი, მბრძანებელი, ხოლო ქალის საქმიანობა ფაქტობრივად არასდროს უკავშირდება ავტორიტეტულობას, გადაწყვეტილების მიღებას.[57]

სამინისტროს მიერ ზოგიერთი სახელმძღვანელოს გრიფირების პროცესში ჩართულია სახალხო დამცველი, რაც მისასალმებელი ფაქტია, თუმცა ზოგჯერ მისი წარმომადგენლების რეკომენდაციები სახელმძღვანელოებში გენდერული საკითხების ასახვის შესახებ არ არის გათვალისწინებული.[58] სამწუხაროდ, ეს პროცესი არ მოიცავს ყველა კლასის ყველა სახელმძღვანელოს. განხორციელდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის და საბაზო საფეხურის VII კლასის ზოგიერთი საგნის და VIII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება.[59]

ასევე მკვლევარები საუბრობენ **ფარულ კურიკულუმზე** ანუ სასწავლო პროცესის ისეთ ორგანიზებაზე, რომელიც ხელს უწყობს გენდერულ უთანასწორობას და აღ-

---

53 ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017 წ., გვ.: 107; ხელმისაწვდომია – https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/national%20vaw%20study%20report%20geo.pdf?la=ka&vs=0

54 ნ. გორგაძე, „გენდერული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე“, გვ.: 28, 38; ხელმისაწვდომია – http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_fsiqologia/natia_gorgadze.pdf

55 ტიპური პრობლემები სასწავლო მასალებში იხ.: „გენდერული და სოციალური ინკლუზიის სახელმძღვანელო ტრენინგების მოდულის ავტორებისთვის“, გვ.: 8-10; ხელმისაწვდომია – http://old.tpdc.ge/uploads/pdf_documents/genderi1.pdf

56 ნ. გორგაძე, „გენდერული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე“, გვ.: 36-37

57 გენდერული სტერეოტიპები სასკოლო სახელმძღვანელოებში; ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2V71MDr

58 სახალხო დამცველის წინადადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე, გვ.: 3; ხელმისაწვდომია – http://ombudsman.ge/res/docs/2020030217361936000.pdf

59 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 22.06.2020; ხელმისაწვდომია – http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=10521

ვივებს გენდერულ სტერეოტიპებს. ყველა ეტაპზე სასწავლო დაწესებულებებში ურთიერთობები იმეორებს გაბატონებულ წარმოდგენებს ქალზე, როგორც დაქვემდებარებულზე.[60]

მწვავე პრობლემად რჩება მასწავლებელთა უმრავლესობაში არსებული გენდერული სტერეოტიპები. როცა ვსაუბრობთ საზოგადოების გენდერული სტერეოტიპებით დატვირთვაზე, აქ მოიაზრება მასწავლებელიც, როგორც ამ საზოგადოების ნაწილი.[61] ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ პედაგოგთა ცოდნა გენდერის შესახებ მწირია, უმრავლესობა ემხრობა ქალისა და კაცის როლების ტრადიციულ განაწილებას და, პრაქტიკულად, აღიარებს მამაკაცის დომინანტობას კარიერაში, ოჯახსა და სოციალურ-პოლიტიკურ აქტივიზმშიც.[62] იგივე დადასტურდა სხვა კვლევითაც. დადგინდა განსხვავებულობა მასწავლებელთა დამოკიდებულებებში. მასწავლებელ-მოსწავლის ინტერაქცია გენდერულად ტენდენციურ ხასიათს ატარებდა ბიჭების სასარგებლოდ.[63] მასწავლებლები მოსწავლის სქესის გათვალისწინებით განსხვავებული თვისებების აღზრდას თვლიდნენ პედაგოგიურ ამოცანად და ეს განსხვავებულობა გენდერულად სტერეოტიპული მახასიათებლების მხარდაჭერაში გამოიხატება.[64] განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის შესახებ ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ მასწავლებელთა ტრადიციული შეხედულებები გაუცნობიერებლად ამყარებს გენდერულ სტერეოტიპებს.[65]

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის PISA 2018 წლის ოფიციალური შედეგების მიხედვით, **გოგონებმა ბიჭებთან შედარებით გაცილებით კარგი შედეგები** აჩვენეს.[66] **პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ სწავლობენ კარგად გოგონები, თუმცა ითვლება, რომ ნიჭიერები არიან ბიჭები.**[67] მაგალითად, მასწავლებელთა დაახლოებით ნახევარი მიიჩნევდა, რომ ბიჭებს უკეთესი სასწავლო უნარები აქვთ და უფრო ნიჭიერები არიან.[68]

---

60 ნ. ბერეკაშვილი, „გენდერული სოციალიზაციის ფაქტორები განათლების კონტექსტში“, 2012 წ., გვ.: 68-69

61 მასწავლებლების ქცევაში შესაძლო მიკერძოებების მაგალითები იხ.: „გენდერული და სოციალური ინკლუზიის სახელმძღვანელო ტრენინგების მოდულის ავტორებისთვის“, გვ.: 12; ხელმისაწვდომია – http://old.tpdc.ge/uploads/pdf_documents/genderi1.pdf

62 მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ (კვლევის ანგარიში), 2014 წ., გვ.: 11-12; ხელმისაწვდომია – http://www.parliament.ge/uploads/other/75/75678.pdf

63 ნ. ბერეკაშვილი, „გენდერული სოციალიზაციის ფაქტორები განათლების კონტექსტში“, 2012 წ., გვ.: 98; ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2yX77Vc

64 იქვე გვ.: 99-100

65 გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, II ნაწილი, 2018 წ., გვ.: 73

66 „წიგნიერებაში ყველაზე მეტად გვიჭირს“ – PISA 2018 და ქართველი მოსწავლეების გაუარესებული შედეგები; ხელმისაწვდომია – https://edu.aris.ge/news/wignierebashi-yvelaze-metad-gvichirs-pisa-2018-da-qartveli-moswavleebis-gauaresebuli-shedegebi.html

67 გენდერული სტერეოტიპები სასკოლო სახელმძღვანელოებში; ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2V71MDr

68 ნ. ბერეკაშვილი, „გენდერული სოციალიზაციის ფაქტორები განათლების კონტექსტში“, 2012 წ., გვ.: 100

მრავალწლიან მონაცემებზე და დაკვირვებაზე დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობის აღნიშნული მოდელი გოგონებში იწვევს უფრო დაბალ თვითშეფასებას და ვლინდება მათ მიერ ბიჭების უპირატესობის აღიარებაში, ხოლო ბიჭებში - გოგონებთან შედარებით საკუთარი უპირატესობის შეგრძნებაში[69].

მასწავლებლები, როგორც წესი, ვერ აცნობიერებენ თავიანთ მიკერძოებულობას, სასწავლო მასალაში ასახული უთანასწორობის მიმართაც უგრძნობნი რჩებიან, რადგან უბრალოდ იმას ასწავლიან, რაც თვითონ ისწავლეს. სკოლაში დამკვიდრებული გენდერული სოციალიზაციისა და დისკრიმინაციული ფარული კურიკულუმის შედეგად, გოგონები და ბიჭები არათანაბარ განათლებას იღებენ. გოგონები ნაკლებად ერთვებიან STEM დარგებში, რაც სწორედ განათლების სფეროში არებული სტერეოტიპებითაა გამოწვეული. მასწავლებლები ახალისებენ ბიჭებს მეცნიერებისკენ, ხოლო გოგონებს ზღუდავენ „ქალური“ როლებით.[70] მკვლევართა აზრით, ეს ტენდენცია მანამდე გაგრძელდება, სანამ მასწავლებლები არ გააცნობიერებენ გენდერული სოციალიზაციის პრობლემებს, თავიანთ მიკერძოებულობას და არ გაუმჯობესდება მათი ცოდნის დონე ამ მიმართულებით.[71]

კვლევების შედეგად გამოკვეთილი ტენდენცია, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა, როგორც წესი, ვერ ამჩნევს ან/და უარყოფს გენდერულად სტერეოტიპულ ქცევას,[72] დადასტურდა წინამდებარე მონიტორინგითაც. ეს შეუმჩნეველი არ რჩება სფეროს ექსპერტებისა და თვით მოსწავლეებისთვისაც. გოგონების თქმით, მასწავლებლები მათ უფრო სუსტებად და ემოციურებად მიიჩნევენ, ბიჭები კი ჭკვიანებად და ძლიერებად ითვლებიან. გოგონებს, რომლებიც გონებამახვილობით გამოირჩევიან, შესაქებად ეუბნებიან, რომ „მამაკაცური ტვინი“ აქვთ.[73]

მასწავლებელთა მომზადებას, მათი ცნობიერების, კვალიფიკაციისა და გენდერული მგრძნობელობის ამაღლებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს საყოველთაოდაა აღიარებული. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, ბავშვის უფლებათა კონვენციის შესაბამისი ღირებულებები ვერ იქნება ეფექტიანად ინტეგრირებული საგანმანათლებლო სივრცეში, თუ მასწავლებლები „თავად არ განასახიერე-

69 იქვე, გვ.: 67, 102

70 გენდერული და სოციალური ინკლუზიის სახელმძღვანელო ტრენინგების მოდულის ავტორებისთვის, გვ.: 4; ხელმისაწვდომია – http://old.tpdc.ge/uploads/pdf_documents/genderi1.pdf

71 ნ. ბერეკაშვილი, „გენდერული სოციალიზაციის ფაქტორები განათლების კონტექსტში“, 2012 წ., გვ.: 67-68

72 მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ (კვლევის ანგარიში), 2014 წ., გვ.: 27-29; ხელმისაწვდომია – http://www.parliament.ge/uploads/other/75/75678.pdf

73 გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, II ნაწილი, 2018 წ., გვ.: 73-74

ბენ კონვენციასთან შესაბამის ღირებულებებს“.[74] სამწუხაროდ, მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პროგრამებში გენდერული საკითხები ნაკლებად პრიორიტეტულია. არსებული რეალობის შესაცვლელად აუცილებელია პედაგოგთა ცოდნისა და კომპეტენციის ამაღლება გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

განათლების სისტემაში გენდერული დისბალანსის მაჩვენებელია ქალ და მამაკაც მასწავლებელთა თანაფარდობა. საქართველოში მასწავლებელთა უდიდესი ნაწილი ქალია. ეს პროფესია მკვეთრად ფემინურად აღიქმება, ამის მიზეზი დაბალი ანაზღაურება და კარიერული წინსვლის საშუალებათა ნაკლებობაა.[75] საქსტატის მონაცემებით, 2019-2020 სასწავლო წლისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 63 780 მასწავლებელია, მათ შორის - 55 376 ქალი. საჯარო სკოლებში, ეს მონაცემები, შესაბამისად, 55 946 და 48 513-ია.[76] მასწავლებელთა საერთო რაოდენობაში ქალების წილი 86.8%-ია.

სათანადო ძალისხმევის შემთხვევაში, განათლების სისტემას ნამდვილად შეუძლია ქალთა მიმართ ძალადობის შემცირება და საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანა. მსოფლიო ბანკის შეფასებით, უკეთესი განათლების პირობებში, მცირდება სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის, მათ შორის ოჯახური ძალადობის მაგალითები და იზრდება ეკონომიკური სარგებელი.[77]

74 UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The aims of education, -CRC/GC/2001/1, para. 18; ხელმისაწვდომია – https://bit.ly/35oDnM8

75 გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, II ნაწილი, 2018 წ., გვ.: 71; ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2xfOknD

76 ზოგადი განათლება; ხელმისაწვდომია – https://www.geostat.ge/ka/modules/categories/59/zogadi-ganatleba

77 ნ. გორგაძე, „გენდერული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე“ - გვ.: 27; ხელმისაწვდომია – http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_fsiqologia/natia_gorgadze.pdf

5. არსებული გენდერული სტერეოტიპები სკოლაში - ფონდი „სოხუმის“ მონიტორინგის მიგნებები

ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა დაადასტურა, რომ, მიუხედავად შესამჩნევი წინსვლისა, **სკოლაში ჯერ კიდევ მყარადაა ფესვგადგმული გენდერული სტერეოტიპები.** ამას ავლენს ყველა აქტორი: დირექტორები, მასწავლებლები, მშობლები და, რასაკვირველია, თვით მოსწავლეებიც, თუმცა ეს უკანასკნელნი ყველაზე ნაკლებად. გამოკითხულთა ნაწილი აღიარებს, რომ სტერეოტიპების მატარებელია, თუმცა ვერ თანხმდება პრობლემის მიზეზსა და საკუთარ პასუხისმგებლობაზე მათ გაღრმავებაში. რაც უფრო მაღალ ადმინისტრაციულ საფეხურზეა თანამშრომელი განათლების სისტემაში, მით ნაკლებია აღიარება და პრობლემებზე მსჯელობის ენთუზიაზმი. უმეტესობა სტერეოტიპების კვლავწარმოებაში საზოგადოებას, ოჯახს ადანაშაულებს და ნაკლებად ხედავს სკოლის როლს მათ გამყარებაში - *„ზოგადად, ეს პრობლემა არსებობს ქართულ საზოგადოებაში, ვერ ვიტყვი, რომ ამ წარმოდგენებს სკოლა აღრმავებს ან თვითონ დებს მოსწავლეებში. ფესვები, ვიტყოდი, რომ მოდის მხოლოდ ოჯახიდან“ (სკოლის დირექტორი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). „ჩემი აზრით, სკოლა ნამდვილად აღრმავებს გენდერულ სტერეოტიპებს“ (მასწავლებელი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი).*

რესპონდენტების ნაწილის აზრით კი, გენდერული სტერეოტიპების გაღრმავებაში პასუხისმგებლობა სკოლას, ოჯახს და საზოგადოებასაც თანაბრად ეკისრება და მის წინააღმდეგაც ერთად უნდა იბრძოლონ - *„სტერეოტიპების ამსახველი გამოთქმები ბევრია ხალხურ სიტყვიერებაში. მაგალითად, „ქალის ჭკუა თხამ შეჭამა“. რა თქმა უნდა, სკოლა, ბაღი, ოჯახი, სამეზობლო, სოციალური გარემო, რომელშიც ვტრიალებთ, ხელს უწყობს ამ სტერეოტიპების გაძლიერებას. ვინაიდან იქაც ტრიალებენ ადამიანები, რომელთა ყოველდღიურობაც სავსეა დისკრიმინაციით (გენდერის ექსპერტი). „ეს სამივე რგოლი ერთდროულად უნდა ახერხებდეს გენდერული სტერეოტიპების დამსხვრევას (მშობელი, სენაკის მუნიციპალიტეტი).*

გამოიკვეთა შემთხვევები, როცა რესპონდენტებმა საერთოდ უარყვეს სტერეოტიპების არსებობა: *„ჩვენს სკოლაში არ ხდება ამ შეხედულების გაღრმავება, არ ხდება დისკრიმინაცია იმის მიხედვით, რომ გოგოა ან ბიჭია“ (სკოლის დირექტორი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი).* **სტერეოტიპების სიმრავლითა და ამის აღიარების სურვილის ნაკლებობით გამოირჩევიან შედარებით უფროსი ასაკის მასწავლებლები. განსხვავებები შეიმჩნევა სოფლისა და ქალაქის სკოლებს შორისაც -** *„რა თქმა უნდა, ქალაქთან შედარებით, დაბალი ინფორმირებულობაა და ეს სკოლასაც ეტყობა“ (სკოლის დირექტორი, სენაკის მუნიციპალიტეტი).* რეგიონებში, სოფლად პრობლემის მეტი სიმწვავის მიუხედავად, **ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ზრდა დადებითად მოქმედებს სტერეოტიპების მსხვრევაზე -** *„ჩვენი სკოლა კონფლიქტის გამყოფ ხაზთან ახლოსაა. გენდერული სტერეოტიპების სიძლიერის კუთხით ეს ზონა განსაკუთრებულია. პედაგოგები მაქსი-*

მალურად ვცდილობთ, მაგრამ გოგოსა და ბიჭის როლების მთლიანი ტრანსფორმაცია ერთბაშად შეუძლებელია. ცვლილებები მაინც არის, ბოლო წლებში სტერეოტიპებსაც შეეხო მსხვრევა. ტელევიზიით, ინტერნეტით მოდის ინფორმაცია. ინფორმირებით იწყება ცვლილებები" (მასწავლებელი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

მართალია, წინა წლებთან შედარებით წინსვლა შეიმჩნევა, მაგრამ **მასწავლებლებში ჯერ კიდევ მყარია სტერეოტიპები.** ეს ვლინდება მათ დამოკიდებულებაში, ლექსიკაში, ქცევაში. მაგალითად, მასწავლებელი, რომელიც ამბობს, რომ გენდერული სტერეოტიპების არსებობა გაუმართლებელია, ინტერვიუსას თავად ავლენს მას: *„ოჯახში ძალადობისას, ზოგჯერ მეორე მხარეც არ არის მართალი. იმ მთვრალ ქმარს რომ გააღიზიანებ, პასუხისმგებლობა შენც გეკისრება" (ფოკუს-ჯგუფის მონაწილე მასწავლებელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).*

გენდერული **სტერეოტიპების არსებობა ძალიან მჭიდროდ უკავშირდება ტრადიციას და არსებულ პრაქტიკას,** რადგან არსებობდნენ პედაგოგები, რომელთაც არაერთხელ გამოუყენებიათ გამონათქვამები: „ბიჭის ტვინი აქვს", „ბიჭი მაინც სულ სხვაა", „კაცი ყველაფერია" - *„მე მახსოვს, ჩემი ერთ-ერთი მასწავლებელი გვეუბნებოდა ასეთ ხალხურ „ჭეშმარიტებას" - „ბიჭის თავმა რომ იგოროს, მაინც ჯობია გოგოს თავსო" (გენდერის ექსპერტი).*

სტერეოტიპული გამონათქვამების გამოყენების პრაქტიკას ხშირად თავად მასწავლებლები და სკოლის დირექტორები აღიარებენ - *„ზოგჯერ წამოსცდენია მასწავლებლებს, მაგალითად, გოგონებზე „ბიჭებივით დარბიან დერეფანშიო" და მერე თვითონვე ეღიმებათ, არაგენდერულად ვთქვი ახლა მეო, საკუთარ თავს უსწორებენ. ჩვენ ამ ყველაფერს ბავშვებთან ერთად ვსწავლობთ, ჩვენ სხვანაირად გვასწავლეს და ახლა გარდაქმნას ვიწყებთ, ჩვენი აზროვნების შეცვლას ვიწყებთ" (სკოლის დირექტორი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).* ასეთი მაგალითები ადასტურებს, რომ სტერეოტიპების მსხვრევას და მათგან გათავისუფლებას საკმაოდ დიდი ძალისხმევა სჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ამას აცნობიერებს.

მასწავლებელთა ნაწილმა აღიარა ისიც, რომ ხშირად ბავშვებმა თავიანთი ცნობიერებით გაასწრეს პედაგოგებს და ბევრად უფრო ადვილად გაიაზრეს გენდერულად სტერეოტიპული ტერმინოლოგიის მავნებლობა - *„მასწავლებლისგან გამიგონია ფრაზა: „ეს საქციელი გოგოს არ შეჰფერის", თუმცა იქვე მოსწავლისგან პასუხი იყო ასეთი: „მასწავლებელო, საქციელს სქესი არ გააჩნია" (სკოლის დირექტორი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).* ინტერნეტისა და ინფორმაციისადმი წვდომა ეხმარება ახალ თაობას უამრავი საკითხის გააზრებაში - *„ეს ყველაფერი მაინც ინტერნეტის დამსახურება მგონია. ბავშვები ყველანაირ სიახლეს უფრო მარტივად აღიქვამენ, უფრო მარტივად იღებენ. პედაგოგები აღქმის კუთხით ბევრად ჩამორჩებიან ჩვენს ბავშვებს" (სკოლის დირექტორი, სენაკის მუნიციპალიტეტი).*

გამოკითხულთა ნაწილი ხაზს უსვამს, რომ **მასწავლებელთაგან მოსმენილი გენდერულად სტერეოტიპული ფრაზები უკიდურესად უარყოფით გავლენას ახდენს გოგონების თვითშეფასებაზე** - *„თითქოს თავიდანვე აქვს მას ხელი ჩაქნეული და იცის, რომ „კაცურ" პროფესიაზე არ უნდა იფიქროს, იმიტომ, რომ ის გოგოა" (მასწავლებელი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი).* ასევე აღინიშნა, რომ ისეთ ფრაზებს, როგორებიც არის - „ბიჭია და მაინც გაქაჩავს", „ბიჭია და შეძლებს", **ზიანი მოაქვს თავად ბიჭე-**

ბისთვისაც, რადგან სქესზე დაფუძნებული უპირატესობის შეგრძნება აზარმაცებს და ნაკლებმოტივირებულს ხდის მათ.

ნათელია, რომ გენდერული სტერეოტიპების არსებობა სკოლებში ხშირად პრობლემად არ აღიქმება, არაპრიორიტეტულია, ან არასაკმარისად არის გაცნობიერებული მისი ნეგატიური გავლენა საზოგადოებაში გენდერული უთანასწორობის გაღრმავების კუთხით. საინტერესოა ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ მოყვანილი მაგალითი, რომელიც ეხებოდა მასწავლებლის სასერთიფიკატო გამოცდებზე ერთ-ერთ შეკითხვას - მათ აღქმას სკოლებში არსებულ პრობლემურ საკითხებზე. აღმოჩნდა, რომ გამოცდაზე მყოფი პედაგოგობის 130 მსურველიდან მხოლოდ ერთის, ისიც გენდერის საკითხების სპეციალისტის, ნაშრომი ეხებოდა სკოლებში გენდერულ სტერეოტიპებთან დაკავშირებულ პრობლემას, რაც ადასტურებს აღნიშნული პრობლემის არაპრიორიტეტულობას - *„აქედან ჩანს, რომ მომავალი პედაგოგების ცნობიერება გენდერულ საკითხთან დაკავშირებით მგრძნობიარობით არ გამოირჩევა“ (გენდერის ექსპერტი).*

სკოლაში გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კაცი მასწავლებლების მკვეთრი ნაკლებობა და ისედაც მცირე რაოდენობის კაცი მასწავლებლების კონცენტრირება ტექნიკურ საგნებში ან სპორტში - *„ჯერ კიდევ ფიქრობენ, რომ პედაგოგიკა არის უფრო ქალის პროფესია და თუ იქნება მამაკაცი მასწავლებელი, ძირითადად, ფიზკულტურის ან მათემატიკის მასწავლებლები იქნებოდნენ. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მოსწავლე თანაბრად ხედავდეს როგორც ქალ, ასევე მამაკაც პედაგოგს. ეს მის სწორ ფორმირებას უწყობს ხელს“ (მასწავლებელი, ხონის მუნიციპალიტეტი).* თუმცა ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლებში სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესისთვის კაცი მასწავლებლების მნიშვნელობის გაცნობიერებაც საკმაოდ სუსტია, რაც გარკვეულწილად აძლიერებს არსებულ პრაქტიკას, რომლის თანახმად, ქალებს მეტი პასუხისმგებლობა აქვთ ბავშვების აღზრდაზე მამაკაცებთან შედარებით - *„სიმართლე გითხრათ, ის, რომ განსაკუთრებით უშლიდეს სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესს ის, რომ მამაკაცები ცოტაა, მე ვერ ვხედავ. თუმცა, რა თქმა უნდა, უფრო კარგი იქნებოდა, თუ მამაკაცები მეტი იქნებიან სკოლაში, ზოგადად“ (სკოლის დირექტორი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).*

სტერეოტიპულია თვით კაცი მასწავლებლების მიმართ დამოკიდებულებაც, რაც გამოვლინდა როგორც სკოლის წარმომადგენლების, ისე მშობლებისა და მოსწავლეების მხრიდანაც. გამოიკვეთა, რომ **რიგ შემთხვევვაში კაცი მასწავლებელი მეტ პატივისცემას იწვევს მათში -** *„სულ სხვაა, როცა მამაკაცი პედაგოგი არის სკოლაში. აქვს ამას თავისი მნიშვნელობა, სხვა შეხედულება აქვთ, სხვა თანადგომა აქვთ“ (სკოლის დირექტორი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი). „ბავშვისთვისაც უკეთესია მათი [მამაკაცი მასწავლებლების] გავლენა აღმზრდელობითი კუთხით და ამასაც აქვს თავისი გამოვლინება, განსაკუთრებით - ბიჭებში“ (სკოლის დირექტორი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი). „თითქოს მეტი ინტერესი აქვთ ბავშვებს, განსაკუთრებით ბიჭებს, „კაცური“ დამოკიდებულებით უყურებენ“ (მშობელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).*

განათლების სისტემაში კაცების მიმართ არსებულ პრიორიტეტს კარგად ავლენს რესპონდენტის მიერ მოყვანილი შემდეგი მაგალითიც, კონკრეტულ სკოლაში არის აქტიური, ჭკვიანი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ჩაბარებული აქვს დირექტორების გამოცდა და ძლიერი სპეციალისტია. ამის მიუხედავად, კოლექტივი ცდილობს, დი-

რექტორი იყოს მამაკაცი, რადგან *„ფიქრობენ, რომ სკოლა უფრო ძლიერი იქნება, თუ დირექტორი იქნება მამაკაცი, ვინაიდან ის უფრო ბრძოლისუნარიანი იქნება და შეეძლება, თავისი გაიტანოს“ (მასწავლებელი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი).*

5.1. სკოლის როლი გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლაში

ბევრ საკითხზე განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, ყველა რესპონდენტი თანხმდებოდა იმაზე, რომ **სკოლას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლაში,** რადგან ოჯახის შემდეგ მას აქვს გადამწყვეტი გავლენა ბავშვის ჩამოყალიბებაზე. ამავე დროს, ბავშვები მომავალი მშობლები არიან. ახლანდელი მშობლები კი, თავის მხრივ, სკოლის აღზრდილები არიან. ამდენად, სკოლა უშუალოდ აყალიბებს საზოგადოებას და დიდი გავლენა აქვს მისი ღირებულებების ფორმირებაზე - *„12 წელი სკოლაში საკმარისი დროა იმისათვის, რომ ბავშვებზე გავლენა მოვახდინოთ, ეს არის ყველაზე კარგი პრევენცია, გავზარდოთ ბავშვები სწორად და არასტერეოტიპული აზროვნებით“ (მშობელი, ხონის მუნიციპალიტეტი).* საგანმანათლებლო დაწესებულების როლი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ როცა ბავშვს ოჯახში არ აქვს თანასწორობის ხელშემწყობი გარემო, სკოლა რჩება მნიშვნელოვან ინსტიტუტად ბავშვის ღირებულებების ფორმირებისთვის. ოჯახისგან მხარდაჭერის არარსებობის პირობებში, **სკოლამ უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლეში თანამედროვე და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, რათა გაიაზროს თავისი უფლებები და ადგილი საზოგადოებაში.**

კვლევის პროცესში აღინიშნა, რომ სკოლებში გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს განათლების სამინისტროს მეტ ჩართულობას და მათი მხრიდან ამ მიმართულებით მკაფიო პოლიტიკის გატარებას - *„სკოლის ფუნქციები გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ უფრო მეტად უნდა იყოს დაკონკრეტებული“ (სკოლის დირექტორი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). „განათლების სისტემის როლი ამ მხრივ არის ძალიან მნიშვნელოვანი, უნდა იყოს პირდაპირი დავალება სკოლებისადმი, რომ სკოლის გააქტიურება მოხდეს ამ კუთხით. როცა ოფიციალური დავალება გაქვს, უფრო ხარ მობილიზებული და ასეთი დავალების არარსებობის შემთხვევაში კი სულ სხვა რეალობაა“ (სკოლის დირექტორი, სენაკის მუნიციპალიტეტი).*

მონიტორინგის პროცესში ასევე გამოიკვეთა **ოჯახებში არსებული ღირებულებებისა და მენტალობის შეჯახება სკოლის თანამედროვე მოთხოვნებთან.** მაშინ, როცა სკოლა ცდილობს თანამედროვე სტანდარტებისა და ღირებულებების დანერგვას მოსწავლეთა აღზრდის პროცესში, ოჯახი ხშირ შემთხვევაში გაცილებით ტრადიციულ და კონსერვატიულ ინსტიტუტად რჩება. ერთ-ერთი მშობლის თანახმად, სამწუხაროდ, საკმაოდ ბევრია მის ირგვლივ ისეთი მშობლები, რომლებიც **არ ემხრობიან ტრადიციული გენდერული როლების შეცვლას** და დღემდე თვლიან, რომ *„ცოლი ქმრის მორჩილი უნდა იყოს“ – „უმრავლესობას ასე ჰგონია, რაც ხდება მათ ოჯახებში, ნორმალურია ის, რომ კაცი უნდა იყოს მთავარი, ის, რომ ქალის ცემა არ არის უჩვეულო... რას აუხსნის ის თავის შვილებს?“ (მშობელი, ხონის მუნიციპალიტეტი).* აღნიშნული ვითარება და ქმრისადმი ქალის მორჩილების ვალდებულება, თავის მხრივ, კვებავს ქალზე ძალადობის პრაქტიკას ოჯახებში. გარდა ამისა, ოჯახებში დამკვიდრებული

სტერეოტიპული შეხედულება მამაკაცისა და ქალის როლზე უდიდეს გავლენას ახდენს მათი შვილების დამოკიდებულებებსა და მოქმედებებზე - *„ბავშვი ხშირად გამოთქვამს... რომ ოჯახში მამაკაცი არის მთავარი და ქალი არის მისი მორჩილი... არგუმენტად მოჰყავს ის, რომ მშობლები არიან ეკლესიურები და მე ასე მასწავლიანო, როგორც მათ მათი მოძღვარი ეუბნება“ (მშობელი, ხონის მუნიციპალიტეტი).* **განსაკუთრებით სახიფათოა, როცა გენდერულ სტერეოტიპებს ერთდროულად ავლენენ მასწავლებლებიც და მშობლებიც,** რადგან ამ დროს ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს ალტერნატიული აზრი, რათა გამოიტანოს ინფორმირებული დასკვნა - *„საახალწლო ღონისძიებისთვის უნდა შეგვეკერა ცისფერი მოსასხამები. ბიჭის მშობლებმა პროტესტი გამოთქვეს, ცისფერ მოსასხამს ჩემი შვილი არ ჩაიცვამსო. რა აუცილებელია, ეს ფერი იყოს ბიჭებისთვისო. გამაოცა იმანაც, რომ არც მასწავლებელს ჰქონია ამაზე პროტესტი, ცისფერი მართლა რა ბიჭის ფერია, რამე სხვა ფერი შეარჩიეთო“ (მშობელი, ხონის მუნიციპალიტეტი).*

აღნიშნული ცალსახად ადასტურებს, თუ რამდენად **მნიშვნელოვანია ჯანსაღი სასკოლო გარემოს არსებობა სტერეოტიპულ ოჯახურ გარემოში მყოფი ბავშვებისთვის.** მასწავლებლების მხრიდან გენდერულ თანასწორობაზე კვალიფიციურად წარმართული საუბრებისა და დიკუსიების შემდეგ, ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა, გამოიტანოს ინფორმირებული დასკვნა.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ სკოლის მიერ გენდერულ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ინიცირებული შეხვედრების შემთხვევაში მშობლები იჩენენ ინტერესს და მოდიან თანამშრომლობაზე - *„შეხვედრები ჩავატარეთ მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობით ოჯახში ძალადობის საკითხზე. მე თავიდან არ მქონდა იმედი, რომ მშობლები აქტიურად ჩაერთვებოდნენ, განსაკუთრებით – მამები. თქვენ წარმოიდგინეთ, თვითონ ბავშვებიც. იქ იყვნენ პოლიციელები, გამომძიებლები - ფართო სპექტრი იყო - ტესტები, დავალებები მივეცით მშობლებს. ისეთი გახარებული ვიყავი, ისეთი შედეგი მივიღეთ მამების ჩართვით, მივხვდით, რა მნიშვნელობა აქვს ასეთ თანამშრომლობას“ (ფოკუს-ჯგუფი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).*

მონიტორინგმა გამოავლინა **სკოლისა და მშობლის მჭიდრო თანამშრომლობის მაგალითებიც** - *„მშობლებს მოგვეცა საშუალება, ჩვენ მიერ შერჩეულ თემაზე ჩაგვეტარებინა შეხვედრები მოსწავლეებთან და მე პირადად ჩავატარე ჩემი შვილის კლასში გენდერის საკითხებზე შეხვედრა. ჩვენი პედაგოგი რეგულარულად აძლევს მშობლებს პროფესიული გამოცდილების გაზიარების საშუალებას. ამ შეხვედრების მთავარი მიზანი მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებაა და მეტი ინფორმაციის მიწოდება ბავშვებისათვის“ (მშობელი, ხონის მუნიციპალიტეტი).*

მასწავლებლები მეტ-ნაკლებად ცდილობენ გაკვეთილზე თუ მის მიღმა, არ დაჰყონ დავალება/საქმე გენდერული ნიშნით და ხელს უწყობენ სასკოლო გარემოში ბიჭებისა და გოგონების თანაბარ ჩართულობას - *„რაც შეეხება როლების გადანაწილებას, გოგონები და ბიჭები თანაბრად ინაწილებენ საქმეს... დალაგებებში გვაქვს მორიგეობის სია, სადაც გოგონებიც და ბიჭებიც არიან ერთობლივად. ბიჭები არ გამოხატავენ პროტესტს, რომ არ უნდათ დალაგება, პირიქით“ (მასწავლებელი, ხონის მუნიციპალიტეტი).*

მნიშვნელოვანია, რომ სტერეოტიპების მსხვრევის საქმეში **სკოლა და ოჯახი თანმიმდევრულნი იყვნენ და მჭიდროდ თანამშრომლობდნენ.** გენდერული სტერეოტიპები

კომპლექსური სოციალური პრობლემაა და მის წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებული სკოლისა და ოჯახის/საზოგადოების გაერთიანებით იქნება შესაძლებელი - *„ერთობლივი უნდა იყოს მუშაობა. მე ჩემს შვილებს სტერეოტიპებით არ ვზრდი, მაგრამ სკოლაში მისულს მისმა კლასელმა ბიჭებმა ამაზე რომ დასცინონ, ყველაფერი დამთავრებულია, აღარ დამიჯერებს“ (მშობელი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).*

5.2. გოგონების ხელმისაწვდომობა განათლებაზე

გენდერული სტერეოტიპები, როგორც წესი, ხელს უშლის გოგონების ხელმისაწვდომობას განათლებაზე. თუმცა, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობის თქმით, **სკოლა და მშობელი არ ზღუდავს გოგონების პროფესიულ არჩევანს,** უმაღლესი განათლების მიღების შანსს, რადგან ქართულ საზოგადოებაში ძალიან დაფასებულია განათლების მიღება. ძალიან ღრმად, საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს შეხედულება, რომ თანაბარ პირობებში, **უმაღლესი განათლება ბიჭს უფრო სჭირდება** - *„ჩვენ ქვეცნობიერში გვაქვს, განათლების მიღების დროს ბიჭის კარიერაზე უფრო ვიზრუნოთ, გოგოსთვის ყოველთვის ვეძებთ კარგ ოჯახს“ (მშობელი, ხონის მუნიციპალიტეტი).* თუმცა, ცალსახად აღინიშნა, რომ მშობლებიცა და სკოლაც მხარს უჭერენ გოგონების უმაღლეს განათლებას.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ შეზღუდული რესურსების პირობებში, ოჯახი მიდრეკილია ბიჭის განათლების სასარგებლოდ დახარჯოს არსებული ფინანსები, მაშინაც კი, თუ გოგო უკეთესი მოსწავლეა. **ამ სამწუხარო დამოკიდებულებას გოგონები ძალიან მამაცურად უპირისპირდებიან და უარს აცხადებენ ჩაგვრისადმი დამორჩილებაზე.** რესპონდენტმა გაიხსენა შემთხვევა, როცა მშობლები, საშუალების არქონის გამო, უმაღლესი განათლების მიღების უპირატესობის მინიჭებას ბიჭებისთვის აპირებდნენ და სთხოვეს გოგოს, გამოსულიყო მე-9 კლასიდან - *„მაინც უნდა გათხოვდე და შვილები გაზარდო, განათლება რა აუცილებელიაო. თუმცა გოგონამ ლამის უჩივლა მშობლებს ამისათვის და დღეს ის უმაღლეს განათლებას იღებს ერთ-ერთ უნივერსიტეტში“ (რესურსცენტრის წარმომადგენელი, სამეგრელო). „ერთ ოჯახში ბაბუა იყო ძირითადი შემომტანი, გადაწყვიტა, გოგონა მაინც გათხოვდებაო, ვერ გადავუხდით სწავლის თანხას და ბიჭმა უნდა ისწავლოსო. ამას შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ოჯახში ჰქონდა უთანხმოება. სანათესაოში დადიოდა - განა მე მართალი არ ვარო? საბედნიეროდ, იქ იმ გოგონამ მოახერხა სწავლის გაგრძელება“ (მასწავლებელთა, დირექტორის ფოკუს-ჯგუფი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).*

რესპონდენტები ასევე ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ჩვენს **ინფორმაციულ ეპოქაში განსხვავებული, უფრო თამამი თაობა იზრდება და გოგონები მტკიცედ იცავენ საკუთარ უფლებებს.** ამაში უდიდესი როლი აქვს ინტერნეტს. სახელმწიფოსა და სკოლის ვალია, ხელი შეუწყოს მათ - *„ბევრი სტერეოტიპი გაქრა საზოგადოებაში, ეს ეტყობა ახალგაზრდობას. ეს ეხება პროფესიის არჩევას, ჩაცმას. იგივე ოჯახში საქმეების გადანაწილებას. ისეთი თაობა წამოვიდა, რომელმაც თვითონ დაამკვიდრა ახალი წესები ოჯახებში და ჩვენ ვხედავთ, რომ ძველი სტერეოტიპები სადღაც გამქრალია“ (მშობელი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).*

წინამდებარე მონიტორინგის სამიზნე მუნიციპალიტეტების ფარგლებში, ძირითადად,

ეთნიკურად ქართველი, ქრისტიანები ცხოვრობენ და რელიგიური მოტივი არ ზღუდავს გოგონების ხელმისაწვდომობას განათლებაზე. თუმცა რესპონდენტებმა გაიხსენეს **ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებში განათლების უფლების შეზღუდვის მაგალითები**. აღინიშნა, რომ სამტრედიაში, სოფელ იანეთში, რეპატრიანტი მესხების დასახლებაში არსებობდა გოგონების სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებული პრობლემები. დასახლებასთან ახლოს არის ცხრაწლიანი სკოლა, ხოლო საჯარო სკოლა რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს ტრანსპორტი ემსახურებათ, ცხრაწლედის შემდეგ გოგონებს უმეტესწილად არ აძლევენ სწავლის გაგრძელების საშუალებას - *„ასე ვთქვათ, ოჯახისთვის, ანუ გასათხოვრად ამზადებენ. ჩვენი წარმომადგენელი იყო ჩასული და ვესაუბრეთ მშობლებს, რომ არა აქვთ უფლება, გოგონებს სწავლა შეუზღუდონ. ავუხსენით, რომ ეს დასჯადი ქმედებაა. ზოგიერთმა მოისმინა, ზოგიერთებთან მაინც არ გაჭრა. არ უნდა სწავლა და მორჩა - ასე გვიპასუხეს. ასე უცებ, ერთი ხელის მოსმით ვერ მოაგვარებ ასეთ პრობლემას“ (რესურსცენტრის წარმომადგენელი, იმერეთი).*

მსგავსი პრობლემა გამოიკვეთა ჩვენი მონიტორინგის სხვა მუნიციპალიტეტშიც - *„ჩვენთან აჭარლები არიან ჩამოსახლებულები, ბიჭმა უნდა ისწავლოს და გოგოებს ათხოვებენ. არის ასეთი ცნობიერება დღესაც, მაგრამ მილევადია“ (მშობელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი). „იქ [აჭარელ მიგრანტთა მუსლიმური თემები ოზურგეთში], აბსოლუტურად განსხვავებული სურათია. სტერეოტიპებიც არის, დისკრიმინაციაც იმ კუთხით, რომ აი, ბავშვი, „წავიდე თუ არა რამე წრეზე“ - ამბობს, „მამას შევეკითხებიო“ (ფოკუს-ჯგუფი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).*

არსებული პრობლემა საჭიროებს დაუყოვნებელ და მიზნობრივ რეგირებას, რადგან გოგონებს აქ და ახლა სჭირდებათ სახელმწიფოს მხარდაჭერა, მათ არ აქვთ დრო, დაელოდონ დროში გაწერილ ცვლილებებს. მნიშვნელოვანია, **სკოლებში დაინერგოს სპეციალური პროგრამები მსგავსი მიდგომების მქონე გოგონებისა და ოჯახებისთვის, რათა სრულფასოვნად მოხდეს კონსტიტუციით გარანტირებული განათლების უფლების დაცვა და უზრუნველყოფა.**

5.3. გენდერული სტერეოტიპები სახელმძღვანელოებში და სტერეოტიპებთან ბრძოლა სწავლის პროცესში

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები ადასტურებენ, რომ **სასკოლო სახელმძღვანელოებიც საკმაოდ დახუნძლულია გენდერული სტერეოტიპებით.** რესპონდენტების დიდმა ნაწილმა თქვა, რომ აქამდე ბევრი არ უფიქრია ამაზე, თუმცა კითხვის შემდეგ გაიხსენეს - *„ისტორიულ და ლიტერატურულ ნაწარმოებში ნამდვილად შემიმჩნევია [გენდერული სტერეოტიპები] და ამ დროს ვცდილობ, რომ ბავშვს ავუხსნა და დავანახო სულ სხვა თვალით ეს ყველაფერი“ (მასწავლებელი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი). „თუ რაიმე ამოცანებს ვამბობთ, ბავშვები აპროტესტებენ და ცდილობენ მოგვთხოვონ დასაბუთება, თუ რატომ ჰქონდა ბიჭს მეტი ვაშლი და გოგონას ნაკლები? აქამდე სახელმძღვანელოებში ნამდვილად არ დავკვირვებივარ ამ საკითხს, სიმართლე გითხრათ“ (მასწავლებელი, ხონის მუნიციპალიტეტი).*

პრობლემის სიღრმიდან გამომდინარე, მასწავლებელთა ნაწილი ფიქრობს, რომ **გენ-**

დერულ საკითხებს სასკოლო პროგრამაში ცალკე დრო უნდა ეთმობოდეს. ამისათვის შეიძლება შეიქმნას დამატებითი სახელმძღვანელოები. ნაწილის აზრით კი, გენდერული საკითხები, შეძლებისდაგვარად, უნდა იყოს ინტეგრირებული ყველა საგნის პროგრამაში და მასწავლებლები, თავიანთი საგნის ფარგლებში, უნდა მსჯელობდნენ გენდერული სტერეოტიპების პრობლემაზე. ასევე აღინიშნა, რომ აუცილებელია არსებული სასწავლო მასალების განხილვა და გააზრება გენდერული თანასწორობის პერსპექტივიდან - *„ლიტერატურის, ისტორიის, ბიოლოგიის და საზოგადოებრივი დისციპლინების გაკვეთილებზე ორი-სამი წუთი მაინც უნდა ეთმობოდეს ზოგიერთი მოვლენის გენდერული ასპექტით განხილვას, მაგალითად, ლიტერატურის გაკვეთილებზე ფრაზები ნაწარმოებებიდან, რომლებიც შეიცავს თანასწორობის შინაარსს, განხილული იყოს გენდერული თვალსაზრისით“ (გენდერის ექსპერტი).*

რესპონდენტებმა აღნიშნეს ისიც, რომ მიუხედავად პრობლემებისა, **ადრინდელთან შედარებით, სახელმძღვანელოებში მდგომარეობა იხვეწება -** *„მათემატიკის სავარჯიშოებში ხშირად გვხვდებოდა ისეთი შინაარსის პირობა, სადაც აშკარად იყო გენდერული კუთხით გადახრა, ამაზე სამინისტრომ სპეციალისტებთან ერთად იმსჯელა და უკვე აღარ არის ასეთი შინაარსის შემცველი ტექსტები. არსებობს სამოქალაქო განათლების გაკვეთილები. ეს უკვე იმის დასტურია, რომ სწორად მივდივართ“ (რესურსცენტრის წარმომადგენელი, იმერეთი).*

გენდერული სტერეოტიპების კუთხით უფრო ინფორმირებულმა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ **სახელმძღვანელოები ნამდვილად შესაცვლელია -** *„მე წიგნს ვერ მივყვები, იმდენად მოძველებულია და შაბლონური“ (ფოკუს-ჯგუფი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).* ისინი სარგებლობენ დამატებითი რესურსებითაც, მათ შორის USAID-ის დამხმარე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტში მოძიებული მასალებით, რითაც, შეძლებისდაგვარად, აბალანსებენ სახელმძღვანელოების ნაკლოვანებებს. ეს მასწავლებლები ეხმარებიან კოლეგებსაც, თავიანთი როლის უკეთ გაგებაში: *„მათემატიკის მასწავლებელმა დაიწუწუნა, გენდერის ინტეგრირება როგორ მოვახდინოო? ვეუბნები, აბა დააკვირდი ამოცანების პირობას, ტექსტებს, ბიჭი რამდენჯერაა მოხსენიებული, გოგო რამდენჯერ, რა როლები აქვთ... ძალიან გაკვირვებული დარჩა აღმოჩენით. ის იმ აზრიდან კია გამოსული უკვე, რომ მათემატიკა მაინცა და მაინც ბიჭმა რომ უნდა ისწავლოს, მაგრამ - მეტი ვერა - სახელმძღვანელოების გენდერული კუთხით აღქმა ჯერ კიდევ უჭირს“ (ფოკუს-ჯგუფი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).*

აღსანიშნავია, რომ სკოლების უმეტესობაში **სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლა სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოსა და გაკვეთილებსაა მინდობილი.** სამინისტროს დადგენილებით, სამოქალაქო განათლების საგანი დაბალი კლასიდანვე ისწავლება და კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა აზრით, პოზიტიურ გავლენას ახდენს ბავშვების ცნობიერების გაზრდის საქმეში - *„ამ საგანმა შეცვალა სკოლა. დამოკიდებულებები. სხვა თაობას ვზრდით, ფაქტობრივად. მე ასე მიმაჩნია, მაქვს შემთხვევა, რომ ჩემი მოსწავლე თავის ოჯახში განმანათლებლად შევიდა, ფლაერები მიაქვთ სახლში, რომ წააკითხონ მშობლებს“ (ფოკუს-ჯგუფი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).*

ერთ-ერთ ინტერვიუში აღინიშნა, რომ შემუშავებულია ახალი სახელმძღვანელო - „მე მოქალაქე“, სადაც გენდერული საკითხები არის ასახული, ხოლო **სკოლა წაახალი-**

სებს მასწავლებლის ინიციატივას, გაუზიაროს თავის მოსწავლეებს ან გამოიყენოს სასწავლო პროგრამაში კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგზე მიღებული ცოდნა გენდერის ან სხვა საკითხების თაობაზე - *„ახალი სახელმძღვანელო შემოვიდა - „მე მოქალაქე“, სადაც გენდერული საკითხებიც ასახული არის. გარდა ამისა, როდესაც მასწავლებელს უტარდება გენდერულ ან მსგავს საკითხებზე ტრენინგი, მას შეუძლია გაკვეთილის განხილვის დროს ეს საკითხები წამოჭრას და მთლიანი დროც კი დაუთმოს. სკოლისგან ამაში წახალისებულები არიან“ (სკოლის დირექტორი, ქუთაისის მუნიციპალიტეტი).* რამდენიმე მასწავლებელმაც აღნიშნა, რომ სახელმძღვანელოების ნაკლის გამოსწორება პედაგოგს შეუძლია მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსწავლეებისთვის განმარტების მიცემით. მაგალითად, ლიტერატურის, ისტორიის მასწავლებელს შეუძლია, პერსონაჟთა/გმირთა გენდერულ როლებზე ისაუბროს.

სკოლის წარმომადგენელთა ნაწილმა განაცხადა, რომ **სახელმძღვანელოებში არსებული სტერეოტიპების აღმოფხვრაზე პედაგოგი ვერ იფიქრებს,** რადგან ეს საჭიროებს შესაბამის ექსპერტიზას და დროს. მათი მტკიცებით, პასუხისმგებლობა წიგნებში არსებული გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრაზე განათლების სამინისტრომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე - *„მე შეიძლება სახელმძღვანელოში შევნიშნო, რომ გენდერულად არ არის ესა თუ ის ფრაზა სწორი, მაგრამ ნამდვილად სწორი როგორ იქნება, ამის კომპეტენცია არ მყოფნის. ეს ჩემთვის არავის უსწავლებია“ (მასწავლებელი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი). „ჩვენ რა სახელმძღვანელოებიც მოგვდის, იმითი ვსარგებლობთ, მისი შეცვლა ჩვენ არ შეგვიძლია“ (სკოლის დირექტორი, სენაკის მუნიციპალიტეტი).*

გაკვეთილის პროცესში სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლა, ძირითადად, მასწავლებელთა ენთუზიაზმსა და კომპეტენციაზეა დამოკიდებული, რასაც მხოლოდ მცირე ნაწილი ართმევს თავს. თუმცა ნათელია, რომ იმ სკოლებში, სადაც გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს, მნიშვნელოვნად იცვლება ბავშვის დამოკიდებულებები და ცნობიერება და იზრდება სამოქალაქო აქტივიზმიც - *„ბავშვი ხვდება, რომ ისე არაა მის ოჯახში როლები განაწილებული. მერე მოსწავლეები სხვა საგნების პედაგოგებსაც სთხოვენ იგივე - შინაარსით დატვირთულ, საინტერესო გაკვეთილებს“ (ფოკუს-ჯგუფი, მასწავლებელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი). „მასწავლებელი სკოლაში არის ნებისმიერი იდეის მთავარი განმახორციელებელი ნებისმიერი კუთხით. ცხადია, ყველა მასწავლებელმა უნდა დადოს თითო აგური მოსწავლეში სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საკითხში. ეს ჩვენს სკოლაში ნამდვილად არის საჭირო დონეზე. ხშირად ტარდება ღონისძიებები თემებზე „არა ძალადობას“, „უთხარი უარი გენდერულ დისკრიმინაციას“ და სხვა. სკოლაში მოქმედებს სამოქალაქო განათლების ორი კლუბი - „მომავლის თაობა“ და „ახალგაზრდების ჩართულობა და განვითარება“, ტარდება სასკოლო შეხვედრები, გამოსცემენ კედლის გაზეთებს, ამზადებენ პოსტერებს და სხვა“ (სკოლის დირექტორი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).*

მასწავლებლები ხაზს უსვამენ, რომ გაკვეთილების საინტერესოდ და მრავალფეროვნად წარმართვისთვის ისინი დამატებით რესურსს საჭიროებენ. აღინიშნა, რომ **ინტერნეტისადმი არასაკმარისი წვდომა** ხშირად აფერხებს მოსწავლეებისთვის შესაბა-

მისი მასალის მიწოდებას - *„ინტერნეტი არ არის სკოლაში... მე წინასწარ გადმოვწერ ხოლმე და ისე ვაჩვენებ ბავშვებს. ხელოვნების გაკვეთილზეც უფრო სხვა მასალა გვჭირდება - იმასაც ვიმარაგებ წინასწარ და ასე ვამუშავებ“ (მასწავლებელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).*

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ **სკოლებში საკმაოდ სუსტია მანდატურის სამსახურის როლი** გენდერული სტერეოტიპების და ძალადობის პრევენციის მიმართულებით. ერთი მხრივ, ეს განპირობებულია თავად მანდატურების დაბალი ცნობიერებით და გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის აუცილებლობის არასაკმარისად აღქმით. გარდა ამისა, კვლევამ ცხადყო, რომ მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა არც კი იცოდა მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური სერვისის შესახებ, რაც, სავარაუდოდ, მანდატურის მხრიდან აღნიშნული ფუნქციის შეუსრულებლობით აიხსნება.

გასათვალისწინებელია, რომ მანდატურის სამსახური არ არის წარმოდგენილი საქართველოს ყველა სკოლაში, ხოლო მსგავსი ფუნქციის განხორციელება, დირექტორის ბრძანებით, შეთავსებით დაკისრებული აქვს ცალკეულ პირს - *„რომელსაც ევალება, ძალადობის ან გენდერული უთანასწორობის შესახებ გონივრული ეჭვის არსებობისას, საკითხი დააყენოს სკოლის დირექციაში მისი შემდგომი გადაჭრისა და დარეგულირების მიზნით“ (სკოლის დირექტორი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).* თუმცა აღნიშნული პირების მოტივაცია და მუშაობის ხარისხი არაჯეროვანია, რაც, უპირველესად, განპირობებულია არასათანადო კვალიფიკაციით და დაბალი ხელფასებით - *„ჩვენ გვყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სამინისტრომ შტატი დაუშვა წელს და სადღაც 100 ლარია გამოყოფილი... მას ევალება თითქმის ის ფუნქციები, რაც მანდატურებს აქვთ სკოლაში, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ძნელია 100-ლარიანი ხელფასის მქონე კადრს მოსთხოვო ის საკითხები და უფრო დირექტორებს გვიწევს, ამით დავკავდეთ... გარდა ამისა, მათ გადამზადებაც სჭირდებათ, არ ჰყოფნით ის კვალიფიკაცია, რაც გააჩნიათ“ (სკოლის დირექტორი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).*

5.4. მასწავლებელთა გადამზადების მნიშვნელობა სკოლაში გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრისთვის

წინამდებარე კვლევამ ნათლად დაადასტურა, რომ სკოლასა და საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ეფექტიანად საბრძოლველად აუცილებელია მასწავლებლების ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლება. ამის გარეშე ხელშესახები პროგრესი ვერ იქნება მიღწეული - *„როცა გენდერული სტერეოტიპების მსხვრევაზე ვსაუბრობთ, ამის წინაპირობა არის კომპეტენტური პირი“ (მასწავლებელი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).*

ამ მხრივ, პედაგოგებისთვის ტრენინგებს სამინისტრო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია უზრუნველყოფს, მათ შორის ფონდი „სოხუმიც“ - *„ბევრს აქვს გავლილი ტრენინგები ამ თემაზე, მაგრამ არასდროს არ არის ეს ტრენინგები ბევრი. ძალიან კარგი იქნება, თუ კიდევ გაივლიან, გაიღრმავებენ ცოდნას“ (სკოლის დირექტორი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).*

რესურსცენტრების წარმომადგენელთა თქმით, **მასწავლებელთა სახლი უზრუნველყოფს პედაგოგების გადამზადებას, დანარჩენი კი თვითონ პედაგოგზეა დამოკიდებული** - *„როცა გაქვს მოდული, როცა გაქვს საჭირო მასალა, უკვე შენი შემოქმედებითი უნარი უნდა გამოიყენო, რომ ეს ყველაფერი დანერგო, ბავშვებს მიაწოდო. ჩვენ გვყავს პედაგოგები, რომლებიც საოცარ ღონისძიებებს გეგმავენ, ლიტერატურულ ნაწარმოებებს განიხილავენ გენდერული კუთხით, ძალადობის კუთხით. სამინისტრო და რესურსცენტრი ვერ დაგიღეჭავს ყველაფერს“ (რესურსცენტრის წარმომადგენელი, იმერეთი). „სამინისტროდან და რესურსცენტრებიდანაც ხდება მასალების გამოგზავნა და მიეწოდება შესაბამისი პროფილის პედაგოგს“ (სკოლის დირექტორი, სენაკის მუნიციპალიტეტი).*

ამ მსჯელობას არ იზიარებენ მასწავლებლები და აღნიშნეს, რომ **გენდერულ სტერეოტიპებთან ბრძოლა სამინისტროს პრიორიტეტებში ნაკლებად ხვდება** და ისინი, ძირითადად, ბულინგთან ბრძოლის შესახებ იღებენ მასალებს - *„ძალიან ცოტა მასწავლებელმა იცის, თუ რა არის გენდერი. გენდერთან მიმართებაში მხოლოდ თქვენი [ფონდი „სოხუმის] ტრენინგი მაქვს გავლილი. არანაირი მასალები არ მიმიღია გენდერზე როგორც სამინისტროდან, ასევე რესურსცენტრიდან. ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ ისინი არ თვლიან ამ საკითხს პრიორიტეტულად“ (მასწავლებელი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი).* აგრეთვე, მათი აზრით, პრობლემაა ისიც, რომ **მასწავლებელთა გადამზადება, ძირითადად, ერთჯერადია და სისტემური ხასიათი არ აქვს. ტრენინგები რეგულარული უნდა იყოს და მისი ეფექტიანობა უნდა მოწმდებოდეს.** ტრენინგის შემდგომი ნაბიჯი კი კოლეგებისათვის ცოდნის და უნარების გაზიარება უნდა იყოს. სახელმძღვანელოების მსგავსად, აქაც ძირითადი აქცენტი სამოქალაქო განათლების მასწავლებლების გადამზადებაზეა, რაც აშკარად არასაკმარისია - *„სამოქალაქოს მასწავლებლების გადამზადება ამ საკითხებზე პერიოდულად ხდება, როგორც მე ვარ ინფორმირებული“ (სკოლის დირექტორი, სენაკის მუნიციპალიტეტი). „როგორც ხდება ხოლმე, სკოლიდან ორ, მაქსიმუმ სამ პედაგოგს იწვევენ. მე ვცდილობ, დავაბალანსო ეს ყველაფერი და სულ ერთი და იგივე ჯგუფი არ იყოს წარმოდგენილი, მაგრამ საკმარისი ნამდვილად არ არის. ეს დანაკლისი რომ შევავსოთ, ტრენინგიდან დაბრუნების შემდეგ მონაწილე ვალდებულია, მიღებული ცოდნა-გამოცდილება მის კოლეგებს გაუზიაროს. უფრო ხშირად გენდერულ თემატიკაზე არასამთავრობო ორგანიზაციები გვიწვევენ“ (სკოლის დირექტორი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).*

თავის მხრივ, გადამზადებული მასწავლებლები ცდილობენ, კოლეგებს და მოსწავლეებს გაუზიარონ ინფორმაცია - *„მე თქვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ პედაგოგთა ტრენინგზე ვიყავი და ინფორმაცია მივიღე, როგორც გენდერზე, ასევე ძალადობის შესახებ და ჩემი ინიციატივით ჩავატარე დისკუსია - ფილმის ჩვენება მოსწავლეებთან. ვფიქრობ, რომ ყველას სჭირდება ამ კუთხით გაძლიერება“ (მასწავლებელი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი).*

პედაგოგების თქმით, **გენდერულ საკითხებზე სპეციალიზებული ტრენინგები სჭირდებათ, რაც თითქმის არ ტარდება.** განსაკუთრებით დაწყებითი კლასის პედაგოგებისთვისაა საჭირო - *„შეიძლება გენდერული სტერეოტიპები შენ, პედაგოგს კარგად გქონდეს გააზრებული, მაგრამ როგორ მიაწოდო ეს ინფორმაცია პირველკლასელს, არ არის მარტივი“ (მასწავლებელი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).* რესპონდენტთა

მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ არიან სკოლები, სადაც მასწავლებელთა უმრავლესობას აქვს გავლილი გენდერის საკითხზე ტრენინგები, თუმცა გაცილებით მეტია საჭირო - *„სპეციალური ტრენინგებიც გვხვდება, რომლებიც მხოლოდ გენდერს ეხება - მთელმა სკოლამ გაიარა, თუმცა კიდევაა საჭირო“ (სკოლის დირექტორი, ქუთაისის მუნიციპალიტეტი).*

რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ **აუცილებელია სკოლამ დამოუკიდებლად იმოქმედოს და მასწავლებლებმა ინიციატივა საკუთარ ხელში აიღონ** - *„განათლების სამინისტრო არ იძლევა დაღეჭილ, წინასწარ მომზადებულ რეცეპტებს, როგორი უნდა იყოს ამა თუ იმ სკოლის მუშაობა გენდერული მიმართულებით, ასევეა რესურსცენტრი. არც ველოდები, რას მიკარნახებს, არაფერსაც არ გიკარნახებს. ახლა, მაგალითად, ძალადობის კამპანია რომ დაიწყო, უკვე სამი-ოთხი წელია ამ პერიოდში გვაქვს საკუთარი აქტივობები და ვცდილობთ, ვიყოთ აქტიურები, ეს პედაგოგებმაც იციან, უკვე არ ველოდებით ვინმესგან მითითებას, ჩვენი ინიციატივით ვცდილობთ, ჩვენი ბავშვები ჩავრთოთ და გავააქტიუროთ ამ კუთხით“ (სკოლის დირექტორი, სენაკის მუნიციპალიტეტი).*

კვლევაში ნათლად გამოიკვეთა, რომ **რესურსცენტრები არ გამოირჩევიან ინიციატივებით სკოლებში გენდერული პოლიტიკის გატარების ნაწილში**. მიუხედავად მათი პირდაპირი ვალდებულებისა, იზრუნონ ტრენინგების, სემინარების ორგანიზებით სკოლებში ადამიანური რესურსების განვითარებაზე და უფრო აქტიურად შეუწყონ ხელი სამინისტროს მიერ ნოვაციებისა და პროგრამების დანერგვას, რაც გულისხმობს პრევენციის მიზნით გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის და გენდერული თანასწორობის დანერგვის მიმართულებით ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობას, სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა ამ კუთხით საკმაოდ პასიურია. მეტიც, ხშირად ვერც კი იაზრებენ პრობლემების მთელი კასკადის არსს და საკუთარ როლს მათთან გასამკლავებლად. საკმაოდ მაღალ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ განათლების სამინისტროზე, ნაკლებად იჩენენ ინიციატივებს და, ფაქტობრივად, არც მიმართავენ თვითშემოქმედებას, რისი სრული დისკრეციაც რეალურად გააჩნიათ.

„ჩვენი პასუხისმგებლობა არ არის, გვქონდეს ჩვენი სამოქმედო გეგმა და დამოუკიდებლად ვიმოქმედოთ, ჩვენ განათლების სამინისტროს ერთიანი სტრატეგიის ნაწილი ვართ და სწორედ ამით ვხელმძღვანელობთ. ამ ერთიან გეგმაში ჩვენი განსაზღვრული ადგილი გვაქვს და თუკი არსებობს აუცილებლობა, რომ საკუთარი ინიციატივები და აქტივობები ჰქონდეს რესურსცენტრს, არც ამაში არ ვართ შეზღუდულები“ (რესურსცენტრის თანამშრომელი, იმერეთი). თუმცა, ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ რაიმე სახის ინიციატივები მათ არ ჰქონიათ, რადგან *„ამის საჭიროება არ ყოფილა“,* ხოლო ამავე დროს აღინიშნა, რომ ისეთ თაობას მიეკუთვნებიან, სადაც *„გენდერული სტერეოტიპები სისხლშია გამჯდარი“.* საგულისხმოა, რომ აღნიშნული რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე რეპატრიანტი მესხების დასახლებაა, სადაც გოგონებს, მათი ადათ-წესებიდან გამომდინარე, არ აძლევენ სწავლის გაგრძელების საშუალებას. ასეთ გარემოში მხოლოდ საჭირო კი არა, აუცილებელია არა მხოლოდ რესურსცენტრების, არამედ ხელისუფლების ყველა შესაბამისი რგოლის ძალისხმევის ჩართვა სტერეოტიპების ნგრევის და გენდერული თანასწორობის დამკვიდრების საქმეში.

6. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი სკოლაში გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლაში

სკოლების უმრავლესობა აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო სექტორთან. ეს ძალზე სასარგებლოა, რადგან საშუალებას იძლევა, შეივსოს იმ ინტელექტუალური და ადამიანური რესურსების დანაკლისი, რაც სკოლას აქვს გენდერული თანასწორობის საკითხების, ოჯახში ძალადობის, სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ. იმ ფონზე, როცა **სამინისტრო ვერ ახერხებს ყველა სკოლის ყველა მასწავლებელი გადაამზადოს და რეგიონებში მოსწავლეებამდე მიიტანოს თანამედროვე იდეები, ეს ფუნქცია საკუთარ თავზე არასამთავრობო სექტორს აქვს აღებული.** სკოლების დიდი ნაწილი ამას აცნობიერებს - *„არასამთავრობო ორგანიზაციები რომ არ არსებობდნენ, მე უბრალოდ წარმოდგენა მიჭირს, როგორი იქნებოდა ჩვენი მდგომარეობა. ამ რგოლმა ნამდვილად ბევრი სიკეთე მოგვიტანა. სახელმწიფო შეავსო. ბევრი მისი გასაკეთებელი გააკეთა“ (მასწავლებელი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი).* თანამშრომლობას მხარს უჭერს მშობელთა უმრავლესობაც, რადგან ეს რეალური შედეგის მისაღწევ უფრო სწრაფ გზად მიაჩნია - *„ერთი არის, როდესაც სკოლას ან მასწავლებელს აქვს კომპეტენცია და იცის სწორად ინფორმაციის მიწოდება, თუმცა კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციის როლი ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, განსაკუთრებით, ცნობიერების ამაღლების მიმართულებით“ (მშობელი, ხონის მუნიციპალიტეტი).*

ფონდი „სოხუმისთვის“ პრიორიტეტულია გენდერული თანასწორობის იდეების გავრცელება ახალგაზრდებში და ძალადობასთან ბრძოლა პრევენციის გზით. ამ მიზნით ორგანიზაცია შედის ისეთ რეგიონებსა და სკოლებში, რომლებიც დიდ ქალაქებთან სიშორის გამო, მოკლებულნი არიან ბევრ რესურსზე ხელმისაწვდომობას, მათ შორის, გამყოფ ზოლთან არსებულ სოფლებში. მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებისათვის - კონფლიქტების პრევენციისა და ოჯახში ძალადობის თემაზე, ორგანიზაცია, დასავლეთ საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში მუშაობს.[78] სკოლებთან თანამშრომლობა **არა მხოლოდ სასარგებლო, არამედ საინტერესოა როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლებისთვის,** რადგან ინფორმაციის მიწოდება ხდება არაფორმალური განათლების მეთოდების გამოყენებით, სახალისო აქტივობებით, მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობით და მათი აქტიურობის წახალისებით. ძალადობის, გენდერული სტერეოტიპების თემაზე, ორგანიზაციის მიერ სისტემატურად იმართება ფორუმ-თე-

78 ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის ფარგლებში, ფონდი „სოხუმი“ მუშაობს დასავლეთ საქართველოს 11 მუნიციპალიტეტის (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, თერჯოლა, სენაკი, ფოთი, ზუგდიდი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, წალენჯიხა, სამტრედია) სკოლებში. ახალგაზრდებთან ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, ვორკშოპები გენდერული სტერეოტიპების, ოჯახში ძალადობის, კონფლიქტის პრევენციისა და მოგვარების შესახებ. პროექტმა 2011-2020 წლებში მოიცვა 144 სკოლის 10600-მდე მოსწავლე.

ატრის წარმოდგენები, შეხვედრები, ტრენინგები და დისკუსიები მოსწავლეებთან - *„ჩვენთან ამ მიმართულებით მუშაობს ფონდი „სოხუმი“, რომელსაც არაფორმალური განათლების კუთხით აქვს თვეში ერთხელ შეხვედრები ბავშვებთან და ბავშვები არიან ინფორმირებული გენდერულ საკითხებზე“ (სკოლის დირექტორი, სენაკის მუნიციპალიტეტი).*

მასწავლებლები აღნიშნავენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და შედეგიანია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბავშვებთან ჩატარებული მუშაობა *„ძალიან სასარგებლოა ასეთი ღონისძიებები... არასამთავრობოებთან თანამშრომლობის შედეგია ისიც, რომ სადაც იყო ტრენინგები ჩატარებული, რომელ კლასებშიც, იქ ბულინგის პრობლემა სრულიად აღიკვეთა. არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია, ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ“ (სკოლის დირექტორი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი).*

ფონდი „სოხუმის“ ლიდერთა სკოლის ტრენინგების ციკლისა და საინფორმაციო შეხვედრების მონაწილეებს საშუალება ეძლევათ, თავად ჩაატარონ საინფორმაციო შეხვედრები თავიანთ თანატოლებთან გენდერსა და გენდერულ სტერეოტიპებზე. მაგალითად, წყალტუბოელმა მოსწავლეებმა დამოუკიდებლად ჩაატარეს ღონისძიებები კონფლიქტებზე, მისი მოგვარების მეთოდებზე, ბულინგზე.

ამ ტიპის გამოცდილების შედეგად, მოსწავლეები ყალიბდებიან აქტიურ მოქალაქეებად, რომლებიც ჩართულნი არიან ადგილობრივი თემის ცხოვრებაში, წარმატებით იცავენ პროგრესულ იდეებს და ხელს უწყობენ განვითარებას.

ვინაიდან არასამთავრობო სექტორი ფლობს მასწავლებელთა უმრავლესობაზე მეტ სპეციალიზებულ ცოდნასა და გამოცდილებას გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, მათი ფართო ჩართულობა სასწავლო პროცესში საჭიროდ მიაჩნია გენდერის ექსპერტსაც - *„უპრიანია არასამთავრობოების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, რადგან არაფორმალურ განათლებას პოზიტიური წვლილის შეტანა შეუძლია სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლაში“ (გენდერის ექსპერტი).*

არასამთავრობო სექტორის როლი დიდია მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მხრივაც. გენდერის თემაზე გადამზადებულ მასწავლებელთა დიდი ნაწილის არსებობა სწორედ სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის შედეგია. სკოლები ამას აცნობიერებენ და ამ **თანამშრომლობის ინსტიტუციურ განმტკიცებას** უჭერენ მხარს - *„ჩვენ სკოლებში მაქსიმალურად ვაკეთებთ, რისი გაკეთებაც არის შესაძლებელი, მაგრამ პედაგოგებს მეტი კონკრეტიკა სჭირდებათ ამ მიმართულებით... არასამთავრობო ორგანიზაციები რომ არა, ჩვენი სკოლა არ ვიცი, რამდენით უკან იქნებოდა, ამიტომ მინდა, რომ ის, რასაც არასამთავრობო ორგანიზაციები აკეთებენ, განათლების სისტემაში იყოს ჩადებული, მინდა, განათლების სამინისტრო იძლეოდეს ამ სივრცეს“ (სკოლის დირექტორი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).*

რესპონდენტთა თქმით, *„არასამთავრობო ორგანიზაციებს დიდი როლი აქვთ რეფერირების სუბიექტებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და მათი გამოფხიზლებისათვისაც“ (ფოკუს-ჯგუფი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი).*

სკოლის მზაობა თანამშრომლობისთვის და გახსნილობა დიდადაა დამოკიდებული ადმინისტრაციაზე, დირექტორზე. ასეთი თანამშრომლობა არა მხოლოდ აისახება მოსწავლეთა და მასწავლებელთა განვითარებაზე, არამედ მთლიანად სკოლის წარმატებას და ჯანსაღი სასკოლო გარემოს შექმნას განაპირობებს. მონიტორინგის პროცესში დირექტორთა ნაწილმა აღნიშნა, ისინი მზად არიან, კარი გაუღონ არასამთავრობო სექტორს, რადგან ამ ეტაპზე განათლების სამინისტროს არ გააჩნია ისეთი სერვისი, რომელიც არაფორმალური კუთხით განათლებას მისცემს მოსწავლეებს. წლების წინ ბევრი დირექტორი თავს იკავებდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თამამი ურთიერთობისგან, ახლა კი ისინი ხმამაღლა ამბობდნენ, რომ სჭირდებათ არაფორმალური განათლება და თვითონ უნდა ითხოვდნენ მათ შემოსვლას სკოლებში.

ნიშანდობლივია, რომ ის **მშობელი, ვისაც თავად აქვს არასამთავრობო ორგანიზაციასთან ურთიერთობის გამოცდილება, უფრო აცნობიერებს გენდერული სტერეოტიპების მავნებელ ზეგავლენას,** ცდილობს, მისგან დაიცვას შვილები და აქტიურად უჭერს მხარს სკოლებისა და არასამთავრობო სექტორის კოორდინაციას - *„არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობამ მომცა ეს სითამამე, რომ ჩემს შვილებს ვუთხრა, „მნიშვნელობა არა აქვს, რომელია ბიჭის და გოგოს საქმე“. ვეხმარებით ერთმანეთს, ჯერ სახლს ვალაგებთ, მერე რაღაცებს ვარემონტებთ და ასე ვამსხვრევთ სტერეოტიპებს“ (მშობელი, ხონის მუნიციპალიტეტი). „არასამთავრობო სექტორი მართლა ძლიერი ძალაა, ეხმარება ბავშვებს თავისუფალი მსჯელობისა და აზროვნების განვითარებაში. სკოლები ამდენს ვერ ახერხებენ. არასამთავრობო ორგანიზაციებს ეს ყველაზე კარგად გამოსდით“ (მშობელი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). „ასეთი განათლება მოსწონთ ბავშვებს და, მე მგონი, არასამთავრობოს უნდა მიეცეს საშუალება, ინფორმირებაში მონაწილეობა მიიღოს“ (მშობელი, ხონის მუნიციპალიტეტი).*

ამ მიდგომას იზიარებდა რესურცენტრების წარმომადგენელთა უმრავლესობაც - *„ეს სექტორი [მესამე სექტორი] არის ძალიან კარგი საბადო, მაქსიმალურად მოკლე ვადებში მოხდეს გენდერული სტერეოტიპების მსხვრევა მოზარდებში და ჩვენ გვყავდეს თანამედროვედ მოაზროვნე, დემოკრატიული საზოგადოება“ (რესურსცენტრის წარმომადგენელი, იმერეთი).*

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სექტორთან სკოლების თანამშრომლობით ყველა აქტორი კმაყოფილია და აღიარებს თანამშრომლობის სარგებლობას სკოლისთვის და ბავშვების განვითარებისთვის, მაინც იკვეთება **სკოლების გახსნილობის არასაკმარისი ხარისხი** როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, ასევე სკოლის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობის თვალსაზრისით - *„კი, ვამბობთ, რომ სკოლა ღია და გახსნილია და ყველაფერი გამჭვირვალეა, მაგრამ ის სისტემა, რაც ახლა გვაქვს, არ მგონია, მის გახსნილობაზე მიუთითებდეს. ზამთარ-ზაფხულ, წვიმაში თუ ქარში, მშობლები შუა ქუჩაში კარებთან რომ არიან ატუზულები და შიგნით არავინ შეგიშვებს, მე ეს არ მგონია დემოკრატიული პროცესი იყოს, რა ხდება შიგნით, მართლა არ ვიცი“ (მშობელი, ხონის მუნიციპალიტეტი). „არ ცდილობენ, მოიწვიონ*

მშობლები, ან მოხდეს გარეთ საზოგადოებასთან ურთიერთობა, ან მსგავსი ტიპის აქტივობები ჩაატარონ“ (მასწავლებელი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი).

აღინიშნა, რომ ზოგიერთ სკოლაში ადმინისტრაცია საკმაოდ ფრთხილად უდგება სამოქალაქო საზოგადოების მუშაობას სკოლებში. ეს რიგ შემთხვევაში ხდება იმიტომ, რომ **სკოლას არ აქვს საკმარისი კომპეტენცია, აკონტროლოს და გადაამოწმოს არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული თემების შინაარსი,** რაც ხშირად სკოლის ჩაკეტილობას განაპირობებს - *„განათლების სამინისტრო გვანიჭებს თავისუფლებას და ავტონომიურობას... თუმცა კოორდინაციის გაწევასა და ჩაკეტილობას შორის დიდი სხვაობაა. როცა შემოდის რომელიმე ორგანიზაცია, ჩვენ ხომ მათი პროგრამა არ ვიცით, მასალა არ ვიცით. ამის გაცნობის არც დრო გვაქვს და არც კომპეტენცია და შეიძლება ისეთი რამ გაგვეპაროს, მერე ამაზე ატყდება ერთი ამბები. ამიტომ სპეციალურმა სამსახურებმა უნდა გადახედონ ამას, რამდენად მოდის თანხვედრაში მათ პოლიტიკასთან და რაიმე ისეთი ხომ არ გაჟღერდება, რაც ბავშვზე უარყოფითად იმოქმედებს“ (სკოლის დირექტორი, ქუთაისის მუნიციპალიტეტი). შესაბამისად,* მნიშვნელოვნად მიიჩნევენ შესაბამისი კომპეტენციის მქონე სტრუქტურის არსებობას, რომელიც დაარეგულირებს და პასუხისმგებელი იქნება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ინტერაქციაზე, მაგალითად, *„ამ შემთხვევაში რესურსცენტრმა უნდა შეათანხმოს გარკვეულ ინსტანციებში“ (ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი).* აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა და სკოლების სტიმულირება, შექმნან შესაძლებლობა სამოქალაქო საზოგადოების სექტორისთვის, უფრო აქტიურად იმუშაონ მოსწავლეებთან, რესპონდენტთა ნაწილის აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში - *„იკარგება შანსი, მაქსიმალურად მოკლე ვადებში მოხდეს გენდერული სტერეოტიპების მსხვრევა მოზარდებში და ჩვენ გვყავდეს თანამედროვედ მოაზროვნე, დემოკრატიული საზოგადოება. ეს სექტორი არის ძალიან კარგი საბადო ამისთვის“ (რესურსცენტრის წარმომადგენელი, იმერეთი).*

მონიტორინგის პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ თავად მშობლები აცნობიერებენ სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მნიშვნელობას და მის პოზიტიურ გავლენას მათი შვილების განვითარებაზე, თუმცა ისინიც უსვამენ ხაზს, რომ აუცილებელია იმ თემებისა და საკითხების კონტროლი, რომელთაც აწოდებს სკოლაში შემოსული არასამთავრობო ორგანიზაცია მოსწავლეებს - *„არის სკოლა, რომელიც ღიაა კომუნიკაციისათვის. არიან სკოლები, რომლებიც ხურავენ კარებს და ჰგონიათ, რომ ეს უფრო სასარგებლოა მათი მოსწავლეებისათვის. მე, როგორც მშობელს, მგონია, რომ, რა თქმა უნდა, კონტროლი უნდა ხდებოდეს, თუ რა თემები განიხილება... თუმცა სამოქალაქო სექტორის მუშაობას თავისი დიდი როლი აქვს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაში“ (მშობელი, სენაკის მუნიციპალიტეტი).*

7. ეკლესიის ჩართულობა სკოლაში და გავლენა გენდერულ სტერეოტიპებზე

მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები უპირატესობით სარგებლობენ, შევიდნენ სკოლებში, შეხვდნენ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, თუმცა სამინისტრო არ ერევა ამ კომუნიკაციის შინაარსში. უცნობია, **სასულიერო პირების მიერ სკოლაში ნაქადაგები გენდერული როლები რამდენად თანხვედრაშია გენდერული თანასწორობის თანამედროვე მოთხოვნებთან.** ეკლესიისადმი პიეტეტით, ტრადიციულად, გამოირჩევა პედაგოგთა უმეტესობაც. ქალთა ფონდი საქართველოში, კვლევის თანახმად, გოგონების განვითარების საკითხებს მასწავლებლები უკავშირებდნენ ქართულ ტრადიციებს, ეროვნულ და რელიგიურ იდენტობას, რაც ერთგვარი კონტროლის მექანიზმად და ჩარჩოდ მიაჩნიათ.[79]

გენდერული თანასწორობის საკითხებისადმი დამოკიდებულება მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, ეკლესიას უზარმაზარი გავლენა აქვს საზოგადოებაში[80], რითაც სტერეოტიპებსა და სტიგმას კიდევ უფრო ამყარებს. ეკლესიის მაღალი იერარქები რიგ შემთხვევაში გამოირჩევიან გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ გამოსვლებით.[81] თუმცა, მეორე მხრივ, საეკლესიო პირები საკმაოდ მძლავრი რესურსია, ოჯახში ძალადობის დაგმობის, პატივისცემის, მიმღებლობის იდეის განსამტკიცებლად.

სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, გამოვლინდა საჯარო სკოლების რელიგიური ნეიტრალიტეტის ხელყოფის, ასევე სასწავლო პროცესში ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის რისკის შემცველი ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარების შემთხვევები. ომბუდსმენის შეფასებით, ამგვარი პრაქტიკა მასშტაბურადაა გავრცელებული.[82] განათლების სისტემაში მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი დისკურსის დომინანტობა არაერთი კვლევით დასტურდება.[83] **სახალხო დამცველი სამინისტროს მოუწოდებს, განათლების ყველა საფეხურზე უზრუნველყოს თანასწორუფლებიანობის, რელიგიური ნეიტრალობის პრინციპის დაცვა და შესაბამისი მონიტორინგი გაუწიოს მის პრაქტიკაში შესრულებას.**[84]

---

79 მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ (კვლევის ანგარიში), 2014 წ., გვ.: 37; ხელმისაწვდომია – http://www.parliament.ge/uploads/other/75/75678.pdf

80 ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017 წ., გვ.: 102; ხელმისაწვდომია – https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/national%20vaw%20study%20report%20geo.pdf?la=ka&vs=0

81 "საღვთო წერილი ამბობს, რომ ოჯახის მეთაური არის ქმარი. ოჯახი – ეს არის ერთი სხეული და არ შეიძლება, რომ ერთ სხეულზე იყოს ორი თავი. ეს შეუძლებელია," – განაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 29 აპრილს, საკვირაო ქადაგებისას, იხ.: „რწმენა და გენდერული თანასწორობა"; ხელმისაწვდომია – https://netgazeti.ge/opinion/13831/

82 2019 წლის ანგარიში, გვ.: 317-318

83 რელიგია საჯარო სკოლებში ((განათლების პოლიტიკის ანალიზი რელიგიის თავისუფლების პერსპექტივიდან), 2014 წ., გვ.: 11; ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2JVDwOc

84 2019 წლის ანგარიში, გვ.: 223

თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ რელიგიურ ორგანიზაციებს ქმედითი როლის შესრულება შეუძლიათ ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის, ადრეული ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლაში.[85] რელიგიურმა ლიდერებმა მუდმივად უნდა მოუწოდონ გოგონებს განათლების გაგრძელებისკენ მათივე გაძლიერების მიზნით.[86] რწმენა და გენდერული თანასწორობა სრულიად თავსებადია.[87]

7.1. ეკლესიის ჩართულობა - მონიტორინგის მიგნებები

მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ გარკვეულ სკოლებში არსებობს მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან სასულიერო პირების შეხვედრების პრაქტიკა. შეხვედრების ინიციატორი ზოგჯერ რესურსცენტრია, ზოგჯერ სკოლა ან თვით სასულიერო პირი - *„რესურსცენტრის ინიციატივით ყველა სკოლაში ჩატარდა შეხვედრები მოძღვართან, სადაც, ძირითადად, ძალადობაზე იყო საუბარი, რაც ძალიან ეფექტური იყო და რამდენიმე სკოლაში დღესაც ტარდება ეს შეხვედრები“ (რესურსცენტრის წარმომადგენელი, სამეგრელო). „ჩვენთან „სულიერების ცენტრი“ მოდის ხშირად. ამას ეპარქია ხელმძღვანელობს. ეპარქია აფინანსებს, მე მგონი. ყველა საგანში ატარებენ სემინარებს, კონფერენციებს“ (სკოლის დირექტორი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).* წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ **სამინისტრო არ უზრუნველყოფს სასულიერო პირების მიერ მოსწავლეებთან შეხვედრებისას გამოთქმული იდეების სამინისტროს მიერვე დეკლარირებულ პრინციპებთან შესაბამისობის კონტროლს.**

მშობლებს, ზოგადად, მიაჩნიათ, რომ სკოლაში რელიგიის გაკვეთილები უნდა იყოს, თუმცა თვისებრივი კვლევის მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ **მშობელთა ნაწილს საკმაოდ წინააღმდეგობრივი მოლოდინები აქვს რელიგიის სწავლების საკითხის მიმართ.** მაგალითად, გამოითქვა აზრი, რომ *„სკოლაში რელიგიის გაკვეთილის არსებობა კარგია. ბავშვებმა უნდა იცოდნენ ოჯახის არსი, რა პასუხისმგებლობები აკისრიათ მეუღლეებს. რელიგია მაინც არის ძალიან კარგი გზა საზოგადოებაში სიმშვიდის, სტაბილურობის დასანერგად“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მშობელთან, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).*

რელიგიური გავლენა ძლიერია მშობლებსა და მასწავლებლებზე, რაც თავისთავად აისახება ბავშვებსა და მათ მონაწილეობაზე სხვადასხვა სასკოლო-გასართობ ღონისძიებაში - *„კლასში ერთი ბავშვი ხშირად გამოთქვამს დამოკიდებულებას, მაგალითად, რომ ოჯახში მამაკაცი არის მთავარი და ქალი არის მისი მორჩილი... და არგუმენტად მოჰყავს ის, რომ მშობლები არიან ეკლესიურები და მე ასე მასწავლიანო, როგორც მათ მათი მოძღვარი ეუბნება“ (მშობელი, ხონის მუნიციპალიტეტი). „ჰელოუინი ჩავატარეთ, მამა მღვდელია და ბავშვი არ გამოუშვა. თუ რამე ამერიკული ღონისძიება გვაქვს, მადლიერების დღე, „ეს სატანისტურია“ და მსგავსი მიდგომები აქვთ“ (მასწავლებელი, ბაღდათის მუნიციპალიტეტი).*

მასწავლებლებისა და მშობლების უმეტესობას პიეტეტი აქვს სასულიერო პირების

85 გაეროს კვლევა, გვ.: 69

86 ადრეული ქორწინების კვლევა, გვ.: 81

87 ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი მართლმადიდებლური თეოლოგიის მიხედვით; ხელმისაწვდომია – http://feminism-boell.org/ka/2015/09/20/kalisa-da-kacis-tanascorobis-sakitxi-martlmadidebluri-teologiis-mixedvit

მიმართ, ნაწილი უპირობოდ **ემხრობა მოზარდებზე ეკლესიის გავლენის გაზრდის იდეას და ქალის სუბორდინირებულ როლზე და მის მიერ თმენის ვალდებულებაზე საუბრობს** - *„სკოლებში რომ რელიგია აკრძალეს, იმის მერე წავიდა ცუდად საქმე. ეკლესია ბავშვებზე ცუდად არ იმოქმედებს, თუ სწორი ცხოვრებით იცხოვრებენ და არ გვექნება იმის შიში, რომ ოჯახებში იქნება ძალადობა. ჩემს ქალიშვილსაც იმას ვასწავლი, რომ თუ სიმშვიდე და ოჯახი უნდა, ბევრი რამე მოითმინოს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მშობელთან, ქუთაისის მუნიციპალიტეტი).*

თუმცა სკოლაში ეკლესიის როლის თაობაზე მშობლებისა და მასწავლებლების დამოკიდებულება ბოლომდე გააზრებული არ არის. მათ **ნაწილს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება** აქვს ეკლესიის ჩართულობის და ოჯახში ქალისა და მამაკაცის როლის საკითხთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, ისინი მიესალმებიან ეკლესიის როლის ზრდას ბავშვის ცხოვრებაში და ქალისა და მამაკაცის როლების ტრადიციულ გაგებას იზიარებენ, თუმცა ჩაღრმავებისას ვლინდება, რომ მოსწონთ ახალგაზრდა თაობის ახლებური ხედვა და **ქმრის უპირატესობისა და მისადმი ცოლის მორჩილების იდეის მიმართ მიუღებლობა** - *„მე მგონი, პოზიტიური გავლენა აქვს ეკლესიას. მე თვითონ ვარ მრევლის ნაწილი, ვცდილობ, რომ ჩემი შვილებიც მაგ მიმართებით გავუშვა. მამაკაცის აზრი და სიტყვა, რადგან ის უფროსია და რომ გასათვალისწინებელია, ოდითგანვე მოგვდევს ქართველებს... მაგრამ დღევანდელი ახალგაზრდობა სულ სხვანაირი თვალით უყურებს ამ ყველაფერს და მე მომწონს ეს ძალიან. არა მგონია, იქ ასეთ უფროს-უმცროსობაზე და „მამაკაცის სიტყვა კანონიას“ ჰქონდეს ადგილი“ (მშობელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).* ზოგიერთი რესპონდენტი **თამამად გამოთქვამს უარყოფით დამოკიდებულებას გენდერული როლების შესახებ სტერეოტიპების განმტკიცების მიმართ** - *„ძალიან განსხვავებული და არათანამედროვე დამოკიდებულება აქვთ რელიგიის წარმომადგენლებს ამ საკითხებზე, რასაც მე არ ვეთანხმები“ (მშობელი, ხონის მუნიციპალიტეტი). „არ უნდა იყოს ისეთი საუბრები, როდესაც ვიღაცა ვიღაცას უნდა დაემორჩილოს იმიტომ, რომ ის ქალია. ვფიქრობ, რომ ეკლესიის როლი მნიშვნელოვანია, თუმცა არიან მამაოები, რომლებიც ეუბნებიან, რომ მამაკაცები ქალზე მაღლა დგანან და ქალები უნდა ემორჩილებოდნენ - ეს არასწორია“ (მშობელი, სენაკის მუნიციპალიტეტი).*

მშობელთა ნაწილს მიაჩნია, რომ **თანამედროვე ახალგაზრდებს თავად შეუძლიათ ინფორმაციის გაფილტვრა და სწორი დასკვნების გამოტანა** - *„დღეს ისეთი თაობა გყვავს, თუ ეს ინფორმაცია მისთვის მიუღებელია, თუნდაც მიწოდებული იყოს მამაოების მიერ, ბავშვები აკეთებენ სწორ ანალიზს“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ მშობელთან, სამტრედიის მუნიციპალიტეტი).*

ეკლესიასთან, როგორც დიდი გავლენის მქონე ინსტიტუტთან, თანამშრობლობა სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს, თუ ეს თანამშრომლობა სწორი ფორმით წარიმართება. მნიშვნელოვანია იმ ადამიანებთან მუშაობა, რომელთაც საზოგადოებაზე კულტურული გავლენა აქვთ, მათ შორის, რელიგიურ ლიდერებთან - ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მათი სწავლებისა და ცალკეულ შემთხვევებზე ქმედითი რეაგირების მიზნით.[88]

88 ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017 წ., გვ.: 107; ხელმისაწვდომია – https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/national%20vaw%20study%20report%20geo.pdf?la=ka&vs=0

8. სკოლის როლი ოჯახში და ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში

სკოლის როლი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პრევენციისა და ახალგაზრდების სწორი ღირებულებებით აღზრდის კუთხით, არამედ კონკრეტული ფაქტების გამოვლენის და შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინების მხრივაც. მასწავლებლები და სკოლები წარმოადგენენ მთავარ ინსტიტუტებს ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირებისა და შეტყობინებისთვის, საზოგადოებასთან კავშირისა და ბავშვების ოჯახების სიტუაციის უშუალოდ ცოდნის გამო. მასწავლებლები, მოსწავლეებთან სიახლოვის გათვალისწინებით, მოწმეებადაც კი შეიძლება ჩაითვალონ.[89] კანონმდებლობა ავალდებულებს სკოლის პერსონალს, ბავშვზე ძალადობის შესახებ ეჭვის არსებობისას, მიმართონ შესაბამის უწყებებს[90], ხოლო შეუტყობინებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა.[91]

ამ კუთხით, პედაგოგების მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, ექსპერტები ხაზს უსვამენ მათი სათანადოდ გადამზადების აუცილებლობას.[92] ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ხშირად მსხვერპლი სამართალდამცავ ორგანოებს მიმართავს, მდგომარეობის გართულებისას. მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებების, როგორც შუალედური რგოლის, ჩართვა ძალადობის ადრეული გამოვლენის პროცესში. მასწავლებლებს უშუალო კავშირი აქვთ ბავშვებთან და შეუძლიათ ამოიცნონ ძალადობის ირიბი ან პირდაპირი ნიშნები.[93]

სამინისტრო მხარს უჭერს სკოლების აქტიურ როლს ოჯახში და ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენის კუთხით და მონიტორინგის პროცესში ამოწმებს, აქვს თუ არა სკოლას ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებით შიდა წესები შემუშავებული და დამტკიცებული, არის თუ არა განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი და მოხდა თუ არა ძალადობის შემთხვევების რეფერირება.[94] მართალია, ბოლო დროს სკოლები ამ მხრივ შედარებით გააქტიურდნენ, მაგრამ მონაცემები აჩვენებს, რომ ბევრ სკოლას საერთოდ არ შეუტყობინებია მსგავსი შემთხვევები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მასწავლებლები არ აღრიცხავენ და ატყობინებენ ასეთი ფაქტების შესახებ.[95]

---

89 მასწავლებლების მიერ ბავშვთა და ქალთა მიმართ ძალადობის შეტყობინება, გაეროს ქალთა ფონდი, საქართველო (UN Women, Georgia), 2019,გვ.: 6, 16, 22; ხელმისაწვდომია – https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2019/teacher%20reporting%20of%20violence%20against%20children%20and%20women%20geo.pdf?la=en&vs=2453

90 ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონი, მუხ.: 14[1]

91 ასკ-ის 1726 მუხლი

92 ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 2016 წ. გვ.: 27; ხელმისაწვდომია – http://www.parliament.ge/uploads/other/75/75719.pdf

93 აუდიტის ანგარიში, გვ.: 43-44

94 „დედობა 15 წლის ასაკში"; ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2Y7rnOu

95 მასწავლებლების მიერ ბავშვთა და ქალთა მიმართ ძალადობის შეტყობინება, გაეროს ქალთა ფონდი, საქართველო (UN Women, Georgia), 2019, გვ. 7, 16

მასწავლებლების მიერ ბავშვთა და ქალთა მიმართ ძალადობის შეტყობინების შესახებ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, მასწავლებელთა მხოლოდ 9%-ს შეუტყობინებია ოჯახური ძალადობის ფაქტების შესახებ. ამასთან, 87%-ის თქმით, ბავშვზე ოჯახში ძალადობის ეჭვის შემთხვევაში შეატყობინებენ შესაბამის უწყებებს. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა მხრიდან შეტყობინებების რაოდენობა თბილისის მიღმა მნიშვნელოვნად დაბალია, მაშინ როცა სასოფლო დასახლებაში მასწავლებლები (19%) ორჯერ მეტად არიან ინფორმირებულნი ოჯახში ძალადობის ფაქტების შესახებ, ვიდრე ქალაქის სკოლების პედაგოგები (10%).[96] კვლევის მონაცემების თანახმად, მასწავლებლები, რომლებიც **აქტიურად მოიხმარენ ინტერნეტს, გაცილებით უფრო მიდრეკილნი არიან შეტყობინებისკენ,** შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლები და მასწავლებლები უზრუნველყოფილნი იყვნენ ინტერნეტის უწყვეტი კავშირით, განსაკუთრებით სოფლებში და ამავე დროს, ინტერნეტი შეიძლება გახდეს საკმაოდ ქმედითი არხი ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების გასატარებლად. [97]

მასწავლებლების გენდერული მგრძნობელობა უმჯობესდება. უახლესი კვლევის მიხედვით, პედაგოგთა უმრავლესობა (71%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ცოლქმარს შორის ძალადობა პირადი საქმეა და სხვები არ უნდა ჩაერიონ, ასევე თვლიან (90%), რომ ქალებმა არ უნდა მოითმინონ ძალადობა ოჯახის შესანარჩუნებლად. მაგრამ, ამავდროულად, მასწავლებელთა 60% მიიჩნევს, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ოჯახის, სახლის მოვლაა. გამოიკვეთა, რომ ქალები, რეგულარული ინტერნეტ მომხმარებლები და ახალგაზრდა მასწავლებლები უკეთესი სასკოლო კლიმატის მქონე სკოლებიდან, ნაკლებად იზიარებენ ოჯახში ქალის როლის შესახებ ზემოხსენებულ მიდგომას და რაც უფრო ნაკლებად იზიარებენ, მით უფრო მეტად მიდრეკილნი არიან შეტყობინებისკენ.[98]

ზემოთ აღნიშნული კვლევის თანახმად, მასწავლებელთა მხოლოდ 14% თვლის, რომ არცერთ შემთხვევაში არ არის გამართლებული ქმრის მიერ ცოლის ცემა. მასწავლებელთა 20%-დან 25%-მდე თვლის, რომ ქმრის მიერ ცოლის ცემა ხანდახან გამართლებულია და ხანდახან არა, ან სრულიად გამართლებულია. აღსანიშნავია, რომ ცოლების მიმართ ძალადობის მიმღებლობა მეტია სოფლებში და ასაკოვან მასწავლებელთა შორის. ახალგაზრდა და ინტერნეტის რეგულარულ მომხმარებლებში ნაკლები მიმღებლობაა.[99] აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ, ერთი მხრივ, მასწავლებლებში ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია გენდერული მგრძნობელობა და გენდერული თანასწორობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მათი კვალიფიკაციის და ინფორმირების გაზრდის აუცილებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, კი ინტერნეტის, როგორც ინფორმაციის მიღების და სტერეოტიპების მსხვრევის კარგ საშუალებას.

როგორც კვლევები ადასტურებს, მასწავლებლები ზოგადად იცნობენ ძალადობის ნიშნებსა და ფორმებს, თუმცა თვისებრივი კვლევით, არსებობს ღრმა ცოდნის ნაკ-

96 იგივე, გვ. 30-32

97 იგივე, გვ. 6-7

98 იგივე, გვ. 42

99 იგივე გვ. 46

ლებობა. მასწავლებელთა 80%-ზე მეტმა იცის, რომ მოეთხოვებათ ბავშვის მიმართ ძალადობის შეტყობინება.[100] ასევე, ქალთა მიმართ ძალადობასთან შედარებით, მასწავლებლები ნაკლებ მიმღებლობას იჩენენ ბავშვთა მიმართ ძალადობის მიმართ. მასწავლებელთა დამოკიდებულება ოჯახში ძალადობისა და ბავშვის დასჯის მიმართ, ზოგადად, სწორია[101], თუმცა თვისებრივი კვლევის მონაცემები აჩვენებს ბავშვთა მიმართ ფსიქოლოგიური, განსაკუთრებით, ვერბალური ძალადობის შესახებ ღრმა ცოდნის ნაკლებობასა და მეტ მიმღებლობას[102].

გამოიკვეთა ისიც, რომ სკოლის პროფესიონალები, უპირატესად, ესაუბრებიან მოძალადე მშობლებს, რადგან ფიქრობენ, რომ შეტყობინებამდე სჭირდებათ დადასტურება და ნებართვა მსხვერპლი ბავშვის ოჯახის მოზრდილი წევრებისგან, რაც ადასტურებს, რომ მათ მოქმედებისთვის თავდაჯერებულობა (self-efficacy) აკლიათ და მხარდაჭერა სჭირდებათ. გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს სჭირდებათ ვინმე, ვისთანაც შეეძლებათ მსჯელობა და დარწმუნება, რომ შეტყობინებისას სწორად და კანონშესაბამისად იქცევიან.[103]

მასწავლებლების მიერ შეტყობინებას აბრკოლებს მოსალოდნელი შედეგების ან გაურკვეველი მომავლის შიში, შესაბამისი ორგანოების მიმართ უნდობლობა ან უსარგებლო ბიუროკრატიული პროცედურების მოლოდინი. ასევე სკოლის მასწავლებლებს, დირექტორებს და მანდატურებს შორის ნდობის ნაკლებობა. ბარიერებს შორისაა დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ ცოდნის ნაკლებობაც. შეტყობინებას აბრკოლებს განმცხადებლის მხრიდან ბავშვზე მოძალადე ოჯახთან სიახლოვე, ასევე მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები ბავშვისა და ოჯახის მიმართ, მხარდაჭერის სისტემისადმი უნდობლობა, სერვისების უკმარისობა და არადამაკმაყოფილებლობა, ძალადობის შესახებ საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის აღქმა.[104]

ამ ბარიერების მოსახსნელად ექსპერტები საუბრობენ **უწყებათაშორისი დანაყოფის შექმნის აუცილებლობაზე, რათა მოხდეს საგანმანათლებლო სივრციდან ოჯახში ძალადობაზე შეტყობინების სისტემის განვითარება და მონიტორინგი.** ასევე საჭიროა, სამინისტროს მიერ რესურსცენტრები უფრო აქტიურად გამოიყენებოდეს სკოლებთან კოორდინაციისა და მასწავლებლებსა და დირექტორებამდე ოჯახში ძალადობის და შეტყობინების ვალდებულების შესახებ ინფორმაციის მისატანად. აუცილებელია მასწავლებლებთან მიზნობრივი და მონაცემების ანალიზზე დაფუძნებული კომუნიკაცია და შეტყობინების წარმატებული შემთხვევების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს მასწავლებლების რეგულარული გადამზადება, სხვა აქტორებთან კოორდინაციით. საჭიროა მათი სრულად ინფორმირება ოჯახში ძალადობის ყველა ფორმის საზიანო შედეგების შესახებ. ტრენინგები უნდა ითვალისწინებდეს შეტყობინების ყოველი ეტაპის ნათელ აღწერას და მასწავლებლების მხარდაჭერის/გაძლიერების მეთო-

100 იგივე, გვ. 49
101 იგივე, გვ. 47
102 იგივე, გვ. 45
103 იგივე, გვ. 39-41
104 იგივე, გვ. 22, 34

დებს. ძალადობის პრევენციის მოდული უნდა იყოს სასწავლო გეგმისა და სახელმძღვანელოების ნაწილი. მასწავლებელთა დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ უნდა იყოს გათვალისწინებული, როგორც კრიტერიუმი ახალ მასწავლებელთა და დირექტორთა სამსახურში მისაღებად. მასწავლებლების წახალისებასთან ერთად, განაცხადონ ძალადობის შესახებ, საჭიროა ძალადობის საპასუხო სისტემის განვითარება. განმცხადებლის კონფიდენციალობის გარანტირება, პოლიციის გადამზადება, სოცმუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის გაზრდა და მათი სიღრმისეული მომზადება ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან სამუშაოდ, ბიუროკრატიული ტვირთის (რაც აბრკოლებს შეტყობინებას) შემცირება და განმცხადებელთათვის თანამშრომლობის მოქნილი გრაფიკის შეთავაზება. არსებული ცხელი ხაზის ფარგლებში, სასურველია, მასწავლებლებისთვის კონსულტაციის შეთავაზება ოჯახში ძალადობის ნიშნებისა და შეტყობინების შესახებ.[105]

სასკოლო კლიმატის გაჯანსაღებაში, მასწავლებელთა მხარდაჭერასა და გაძლიერებაში მნიშვნელოვანი როლი აქვთ დირექტორებს, რასაც ადასტურებს და, შესაბამისად, ითვალისწინებს „ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის“ კონცეფციაც.[106]

8.1. ბავშვთა მიმართ ძალადობაზე სკოლის რეაგირების ხარისხი - მონიტორინგის მიგნებები

წინამდებარე მონიტორინგმა დაადასტურა, რომ **მასწავლებლებმა უმეტესად იციან ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ თავიანთი ვალდებულებები,** ოჯახში ძალადობის ნიშნები და, დეკლარირებულად, გამოთქვამენ მზაობას მასთან საბრძოლველად - *„უმეტესობა გადამზადებულია, იციან, თუ რა კონკრეტული ნიშნები არსებობს ძალადობის, ვის უნდა მიმართონ და რა უნდა გააკეთონ“ (რესურსცენტრის ხელმძღვანელი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).* პედაგოგებისთვის **ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო არის ტრენინგები, რომლებიც სამინისტროსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერაა უზრუნველყოფილი.** თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც **არ ფლობენ შესაბამის ცოდნას, ზუსტად არ იცნობენ რეფერირების პროცედურებს და სკოლის როლს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში -** *„კანონს ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ და ბავშვთა მიმართ ძალადობაზე კარგად არ ვიცნობ. არ ვიცი, რა კონკრეტული მოვალეობები აქვს კანონით სკოლას გაწერილი“ (სკოლის დირექტორი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). „ტრენინგები, რომლებიც მასწავლებლებისათვის ტარდება, მნიშვნელოვანია და ალბათ მეტიც უნდა იყოს. ფიზიკური ძალადობა ადვილად ამოსაცნობია. იგივეს ვერ იტყვი ფსიქოლოგიურ ძალადობაზე და მნიშვნელოვანია, რომ ამ კუთხით მოხდეს პედაგოგების გადამზადება“ (ფოკუს-ჯგუფი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი).* მასწავლებელთა ნაწილს რესურსცენტრისგან არ მიუღია სასწავლო მასალა და დამოუკიდებლად, ინტერნეტის

105 იგივე გვ. 61-62, 64, 65, 67

106 პროგრამის კონცეფცია - „ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობა“, გვ.: 9; ხელმისაწვდომია – https://www.mes.gov.ge/uploads/files/zogadi-ganatlebis-xelshecyoba.pdf

დახმარებით ცდილობს განვითარებას - *„ინფორმაცია მოვიპოვე ჩემით, ყველაფერი ხელმისაწვდომია ინტერნეტში და სურვილის შემთხვევაში შეიძლება ნახვა“ (ფოკუს-ჯგუფი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი).*

იმ რესპონდენტებს, რომლებიც მზად არიან, რეაგირება მოახდინონ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, საჭიროდ მიაჩნიათ სამინისტროს მიერ **ნათელი და დეტალური ინსტრუქციის შექმნა** - *„არანაირი სტრატეგიის მიხედვით არ ვმუშაობთ. უნდა არსებობდეს ერთიანი სტრატეგია, სადაც სკოლის ფუნქცია და პასუხისმგებლობა მისხალ-მისხალ უნდა იყოს გაზომილი და უნდა სრულდებოდეს ზედმიწევნით“ (ფოკუს-ჯგუფი, წყალტუბოს, ხონის, თერჯოლის მუნიციპალიტეტების სკოლები).*

სკოლების ნაწილს, ვალდებულების შესაბამისად, მომზადებული აქვს **ბავშვთა რეფერირების წესის დოკუმენტი**, *„გაწერილია ნაბიჯ-ნაბიჯ შესასრულებელი ვალდებულებები, რომლებიც უნდა განახორციელოს სკოლამ“ (სკოლის დირექტორი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). „ჩვენ გვაქვს რეფერირების დოკუმენტი, რომელიც განათლების სამინისტროდან გადმოგვეცა, ამითი ვხელმძღვანელობთ. ჩვენს დანიშნულებას იმაში ვხედავთ, რომ ფაქტი აღმოვაჩინოთ და გადავცეთ იმ სუბიექტებს, რომლებსაც ამ მიმართულებით გააჩნიათ პასუხისმგებლობა“ (ფოკუს-ჯგუფი, წყალტუბოს, ხონის, თერჯოლის მუნიციპალიტეტების სკოლები).* „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით“ განსაზღვრულ ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათის (ფორმა 2) შესახებ, რომელსაც ძალადობის შემთხვევის დროს ავსებენ, ბევრმა მასწავლებელმა და სკოლის დირექტორმა არ იცის. ამდენად, **მათი ცოდნა ფრაგმენტულია, აკლია სიღრმე და კონკრეტიკა.**

დეკლარირებული განცხადებების მიღმა, ჩაღრმავებული კვლევის ანალიზი **არაერთ გამოწვევას წარმოაჩენს.** აღსანიშნავია, რომ **რესურსცენტრების უმრავლესობას, ასევე დირექტორების ნაწილს, უჭირს პრობლემების აღიარება**. გარე დამკვირვებლები უფრო ამჩნევენ სისტემის ნაკლოვანებებს - *„დაბალი ინფორმირებაა მასწავლებლების და სკოლის დირექციის მხრიდან ოჯახში და ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე. არ იციან, რა კონკრეტული მოვალეობები აქვთ, სად გადის მათი პასუხისმგებლობის ზღვარი“ (ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი).*

სკოლების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი ცდილობს, თავი აარიდოს რეაგირებას - *„დამალვის მიზეზი ისიცაა, რომ ეს დამატებითი თავსატეხია სკოლის ადმინისტრაციისათვის. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მოხდა ფაქტი, მივედი და ვუთხარი კლასის ხელმძღვანელს: ვიცი, რომ მოხდა რაღაც, მაგრამ არ აღიარა, არაფერი მომხდარაო“ (ფოკუს-ჯგუფი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).*

ოჯახში და ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, გარდა ცოდნის ნაკლებობისა, **პედაგოგებს აბრკოლებს გადატვირთულობა,** მათ არ რჩებათ დრო იმისათვის, რომ გაკვეთილის მიღმა გამოიჩინონ აქტიურობა - *„ჩვენს პრაქტიკაშიც, მასწავლებლები, რომლებიც ასეთ საკითხებს ბოლომდე მიყვებიან, არიან ძალიან ცოტანი“ (სკოლის დირექტორი, ქუთაისის მუნიციპალიტეტი).*

რეაგირებას აბრკოლებს **არსებული სტერეოტიპებიც,** ასევე **მასწავლებლების დაკავებულობა პირადი პროფესიული საკითხებით,** ამ ფონზე მათთვის **ნაკლებპრიორიტე-**

ტულია ოჯახში ძალადობის საკითხები - *„სხვის ოჯახში პრობლემას მე ვერ გადავწყვეტ, არაფერს არ აშავებს და იყოს მისთვის, ჩაკეტილი თუნდაც," - ასეთი ფრაზები ისმის ყველა პედაგოგისგან. ახლა ათასი თავსატეხი გაუჩინეს სკოლის პედაგოგებს, ეს კრედიტ-ქულები, გამოცდები, მოკლედ, სრული ქაოსია სკოლებში. ეს არის პედაგოგისთვის პრიორიტეტული და ამასობაში საერთოდ დაგვავიწყდა ბავშვები" (მასწავლებელი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი).*

მასწავლებლები ხშირად თავს დაუცველად, დაჩაგრულად გრძნობენ. ცოდნის ნაკლებობა მათ აბრკოლებს, პასუხისმგებლობა თამამად აიღონ და თავდაჯერებულნი იყვნენ. ამავე დროს, ეშინიათ შეცდომის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის - *„ყველა გახმაურებული შემთხვევა რომ გავიხსენოთ, ძალადობის და ნეგატიური შედეგების დროს პასუხისმგებლობას მაშინვე სკოლას სთხოვენ, სკოლა კონკრეტულ პედაგოგს და ასე შემდეგ. პედაგოგი ნამდვილად არ არის დაცული. ზოგჯერ სიტუაცია არ არის რთული, შეიძლება მისი ადგილზე გადაწყვეტა, მაგრამ პედაგოგი პასუხისმგებლობის ტვირთისგან იცლება" (მასწავლებელი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).*

აქ ნათლად იკვეთება მასწავლებლებთან მეტი მუშაობის აუცილებლობა, ერთი მხრივ, სამინისტრო აწესებს ვალდებულებებს და ადგენს პასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, სათანადო ცოდნით და მხარდაჭერით არ აღჭურვავს მასწავლებლებს. ეს უკანასკნელნიც საზოგადოებასა და ზემდგომ პირებშიც მხოლოდ მოდარაჯე თვალს ხედავენ და შეცდომის შიშით საერთოდ უარს ამბობენ რეაგირებაზე, ან მალავენ ფაქტს: *„ყველა ჯოხი ტყდება სკოლაზე, მასწავლებელზე და ეს ამკვიდრებს დაუცველობის შეგრძნებას სკოლის პედაგოგებში. ამიტომაც ურჩევნიათ სკოლის დირექტორებს, ნაკლებად გაახმაურონ ასეთი ფაქტები, რადგან ყველა შემთხვევაში დამნაშავე არის სკოლა" (ფოკუს-ჯგუფი, წყალტუბოს, ხონის, თერჯოლის მუნიციპალიტეტების სკოლები).* ასეთი მიდგომა კი სავალალო შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვისათვის, რომელსაც მოძალადე მშობლის შემთხვევაში, სკოლა ბოლო იმედად რჩება. ამას კარგად აცნობიერებს მასწავლებელთა ნაწილიც. *„პედაგოგს უნდა შეეძლოს ბავშვის ინტერესების განსაზღვრა. მე რა მეშველება კი არა, ბავშვს რა ეშველება... მე რა მჭირდება კი არა, ბავშვს რა სჭირდება" (მასწავლებელი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი).*

წინამდებარე მონიტორინგმა დაადასტურა კვლევებით გამოვლენილი ის ტენდენცია, რომ **სკოლები, ძალადობის დადასტურებულ შემთხვევებშიც კი, ერიდებიან შესაბამისი პირების ჩართვას ან სამართალდამცავი** ორგანოებისთვის შეტყობინებას, **მათ აბრკოლებთ მყარად ფესვგადგმული სოციალური ნორმები, უშუალო ნაცნობობა** და არაოფიციალურად, პირადი ძალისხმევით, საუბრით ცდილობენ პრობლემის მოგვარებას - *„ძნელია მაინც. ზოგჯერ ოჯახის სტატუსია შემაფერხებელი: ისეთი ოჯახიდან გამოვა ინფორმაცია ოჯახის წევრების მიმართ შეუფერებელი მოპყრობის შესახებ, რომ „ვერც შეკადრებ", შენს ოჯახში ასეთი ამბავი ყოფილაო. რთულია, ყველა ერთმანეთის მეზობელია, ნაცნობია, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა აცნობის შესაბამის ორგანოებს, სკოლა იქნება თუ სოფლის წარმომადგენელი იქნება, რაღაც დოზით ვერევით დამრიგებლები, მასწავლებლები, მაგრამ..." (ფოკუს-ჯგუფი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).*

ასევე გამოიკვეთა ისიც, რომ **მასწავლებლებს არ სურთ საგამოძიებო მოქმედებებში ჩართვა და პროცედურებში მონაწილეობა** - *„მასწავლებელმა უნდა გაითავისოს, რომ 2-3-ჯერ წასვლა დაკითხვაზე, მოწმედ ყოფნა და შეკითხვებზე პასუხი, ეს პროცედურების ნაწილია. არ უნდა დაიზაროს და გააკეთოს ბავშვისთვის. ბევრი სწორედ ამ პროცედურებს გაურბის და ურჩევნია, მიჩქმალოს საქმე“ (მასწავლებელი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი).* ამ მხრივ, სკოლის პერსონალის ცნობიერების ამაღლებისა და მის მიერ შეტყობინების განხორციელების წახალისების საჭიროება ნათლად გამოიკვეთა.

მასწავლებლები საფრთხედ თვლიან მოძალადის მხრიდან მოსალოდნელ რეაქციას. მშობლები არცთუ იშვიათად არაადეკვატურად აღიქვამენ ოჯახის საქმეში გარეშე პირის ჩარევას. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლებში, სადაც *„ყველა ყველას იცნობს. არ გრძნობ დაცულად თავს და გეშინია, რომ მოგივარდეს მოძალადე და ჩაგარტყას თავში რამე. ერთხელ პოლიციას შეატყობინეს ერთი ფაქტი და მეორე დღეს ყველამ იცოდა, ვინ დარეკა. არ გიცავს პოლიცია და ეს არის ერთ-ერთი ხარვეზი. ჩვენ ვერ ვენდობით პოლიციას ბოლომდე. ალბათ ეს არის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი იმისა, რომ პედაგოგები თავს იკავებენ განცხადებისაგან“ (ფოკუს-ჯგუფი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი).*

მშობლებთან ურთიერთობის და თანამშრომლობის აუცილებლობას აღიარებს რესპონდენტთა დიდი ნაწილი - *„მშობლებთან თანამშრომლობა ძალადობის პრევენციის ერთ-ერთი ნაწილია“ (მასწავლებელი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი),* თუმცა ამავე დროს გამოიკვეთა, რომ თავად **მშობლები და მოსწავლეები ნაკლებად მიესალმებიან მასწავლებლის დაახლოებას ოჯახთან** - *„ანონიმური გამოკითხვა გავაკეთეთ მშობლებში და მოსწავლეებში, აღდგეს თუ არა კლასის დამრიგებლის ვიზიტი ოჯახებში. ამ ვერსიას არცერთმა მოსწავლემ მხარი არ დაუჭირა“ (ფოკუს-ჯგუფის მონაწილე მასწავლებელი, წყალტუბო). „თუ მშობელი არ გიშვებს ახლოს, თუ ვერ დაუმტკიცებ, მაშინ კიდევ უფრო ართულებ ბავშვის მდგომარეობას და სასწორზე დებ მის ემოციას, განცდებს, რაც ძალიან სარისკოა. ამ რისკზე წასვლა არავის უნდა, ამიტომაც ხდება, ასე ვთქვათ, ასეთი საქმეების დალუქვა, სანამ თვითონ საქმე არ იყვირებს“ (ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, მასწავლებელი, ხონის მუნიციპალიტეტი).* რესპონდენტებმა გაიხსენეს ასეთი შემთხვევა: მასწავლებელმა შეიტყო მოსწავლის ოჯახში ძალადობის შესახებ. გაირკვა, რომ დედა-შვილი მსხვერპლი იყო. პედაგოგი, დირექტორთან ერთად, გაესაუბრა დედას, რომელმაც პროტესტი გამოთქვა: *„შეტევაზე გადმოვიდა, რომ თურმე ჩვენ, პედაგოგები ვალაპარაკებთ ბავშვს ოჯახის ამბებს. ზუსტად ეს სიტყვა იხმარა. პირიქით - აქეთ დაგვემუქრა, გიჩივლებთ სასამართლოშიო... მშობელმა თუ არ მიგიშვა, იდენტიფიცირებას ვერანაირად ვერ შეძლებ. ახლა ისე მიდის საქმე, ყველა მშობელი პედაგოგს აშინებს, ამასთან გიჩივლებ, იმასთან გიჩივლებ. საოცარ სიტყვებს მოისმენ“ (ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, მასწავლებელი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი).*

წინამდებარე მონიტორინგმაც დაადასტურა, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემას სკოლის წარმომადგენლები მხოლოდ ბავშვზე ძალადობის კუთხით აღიქვამენ, **უგულებელყოფილია ქალთა მიმართ ძალადობა**, რომლის წინააღმდეგაც სკოლას დიდი

როლის შესრულება შეუძლია, სათანადო მომზადების პირობებში, რადგან, როგორც წესი, მასწავლებელმა ყველაზე უკეთ იცის, რა ხდება მოსწავლის ოჯახში, მით უფრო რეგიონებში, სოფლებში, სადაც პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა. **ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში, უმეტესად, ქალის მიმართ ძალადობაც არსებობს** და ამაზეც საჭიროა, სკოლას ჰქონდეს მკაფიო პოზიცია და თანამშრომლობდეს პოლიციასთან.

პრობლემების მიუხედავად, არსებობს **ჩარევის წარმატებული მაგალითებიც.** რესპონდენტებმა აღწერეს შემთხვევები, როცა ოჯახში არსებული კონფლიქტის გამო, ბავშვი ავლენდა შესაბამის სიგნალებს, ***„მოწყენილი დადიოდა, არ იყო კონტაქტური, შეშინებული მზერა ჰქონდა, თუკი ვინმე რამეს ჰკითხავდა, მაშინვე ტირილს იწყებდა“ (მასწავლებელი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).*** მასწავლებელი და ადმინისტრაცია დელიკატურად ჩაერივნენ საქმეში, ესაუბრნენ მშობლებს, რის შემდეგაც სიტუაცია გამოსწორდა და ეს ბავშვის მდგომარეობაზეც აისახა. **ზოგი სკოლა შედარებით ორგანიზებულად ებრძვის ძალადობას.** ფოკუს-ჯგუფებში აღინიშნა, რომ ზოგიერთ სკოლას აქვს შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფი პედაგოგის, დამრიგებელის და მშობლის ჩართულობით, რომელიც განიხილავს კლასში იდენტიფიცირებული ძალადობის შემთხვევებს და, შესაბამისად, გეგმავს, ვისთან და როგორ იმუშაოს მომავალში, რა ეტაპზე ჩართოს შესაბამისი სამსახურები, პოლიციის და სოციალური სამსახურის სახით. არიან მასწავლებლები, რომლებიც სხვადასხვა კრეატიულ მეთოდს იყენებენ ბავშვების ნდობის მოპოვების და ძალადობის შესახებ მათი ინფორმირებისთვის. მათ შორის, ბავშვებისგან წერილების მიღებით, როცა პირადად საუბარი ძნელია - ***„ამის მერე ვიწყებდით დებატებს. ვმსჯელობდით „ვიღაცის პრობლემაზე“ და ერთად ვეძებდით გამოსავალს. არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, ვის ამბავს ვიხილავდით, მათ შორის ხშირად მეც. ასეთ დახმარებაზე ბავშვები უარს არასოდეს ამბობენ, ძლიერები ხდებიან“ (მასწავლებელი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი).***

ოჯახში ძალადობის პრევენციის კუთხით სკოლა ცდილობს ბავშვების ინფორმირებას, თუმცა რესპონდენტთა ნაწილი ძალისხმევის უკმარისობას უსვამს ხაზს - ***„განათლების სფერო არ გრძნობს პრობლემას იმ სიმწვავით, რა სიმწვავითაც ის არსებობს. პრევენციის კუთხით სკოლების მუშაობა ძალიან სუსტია. მარტო ერთი გაკვეთილი საზოგადოებაში არ ამოწურავს ინფორმაციის დეფიციტს“ (ფოკუს-ჯგუფი, წყალტუბოს, ხონის, თერჯოლის მუნიციპალიტეტების სკოლები).***

როდესაც კონკრეტულ საქმეს ოფიციალური მსვლელობა მიეცემა, წინა პლანზე გადმოდის **უწყებებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის საკითხები.** კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა ნაწილმა აღნიშნა, რომ არასაკმარისადაა ინფორმირებული **რეფერირების** პროცესში საკუთარი როლის, ვალდებულების და ფუნქციების შესახებ. ფოკუს-ჯგუფში მონაწილე მასწავლებლებმა აღიარეს, რომ მათ ფაქტობრივად არ იციან, რა ვალდებულებები აკისრიათ რეფერირების პროცესში და ხაზი გაუსვეს მასწავლებლის, როგორც რეფერირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სუბიექტის, ჯეროვნად ინფორმირების აუცილებლობას, ყველა იმ ვალდებულებისა და ფუნქციის შესახებ, რომლებიც მათ აქვთ მინიჭებული.

საგულისხმოა, რომ განათლების სისტემის შედარებით მაღალი რგოლის, რესურსცენტრების წარმომადგენლებმა უარყვეს კოორდინაციის პრობლემების არსებობა - *„რეფერირების სისტემა ძალიან კარგად მუშაობს. როგორც კი ვხედავთ, რომ ოჯახური ან ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტი დაფიქსირდა, კლასის დამრიგებლები ერთვებიან, ხდება გადამისამართება სპეციალურ სამსახურებში. სამინისტროს აქვს ჩვენთვის დეტალური ინსტრუქციები მიწოდებული“ (რესურსცენტრის ხელმძღვანელი, იმერეთი).*

გამოიკვეთა, რომ სკოლა, ძირითადად, პოლიციასა და სოცსამსახურთან თანამშრომლობს - *„ორი შემთხვევა მქონდა სკოლაში, ვითანამშრომლეთ პოლიციასთან და სოციალურ მუშაკთან. სხვა სუბიექტებს არც ვიცნობ“ (ფოკუს-ჯგუფი, მასწავლებელი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი).* მსგავსი თანამშრომლობაც საკმაოდ დასახვეწია, რადგან მასწავლებლებს ფაქტობრივად არ აქვთ სოცმუშაკისთვის ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის პროცესში წერილობით ანგარიშის წარდგენის გამოცდილება. მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ, რომ **პოლიციისა და სოცსამსახურის მუშაობასაც ახლავს გარკვეული ხარვეზები.** მაგალითად, აგრესიული მშობლის შემთხვევაში, პოლიცია ცდილობს, თავი აარიდოს სიტუაციის გამწვავებას. ხშირად მათთან არ თანამშრომლობენ ბავშვებიც. სოცმუშაკების სიმცირე და გადატვირთულობაც ცუდად აისახება მუშაობაზე და შედეგად, *სკოლისგან მიწოდებულ საქმეს მსვლელობა არ ეძლევა (ფოკუს-ჯგუფი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).* მასწავლებელთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათთვის მტკივნეულია, როცა რეფერირების სუბიექტების მხრიდან არ ხდება მათი ინფორმირება საქმის მსვლელობისას მათი მოსწავლის მდგომარეობის შესახებ, **სკოლა ამოვარდნილია პროცესიდან, ვერ იღებს უკუკავშირს** - *„ის ბავშვი, რომელიც შენთვის მორიგი ქეისია, ჩემთვის არის მოსწავლე, რომელიც თვალწინ მიზის, მისი განცდები მაწუხებს, მისი საქმე ჩემი ნაწილია და მაინტერესებს, როგორ მიდის ეს საქმე, სოცმუშაკი და პოლიცია სულ არ თვლიან თავს ვალდებულად, სკოლას მიაწოდონ ინფორმაცია. აქეთ ბავშვი მომჩერებია თვალებში, აქეთ მისი კლასელები და მეგობრები და ვერაფერს ვერ ვეუბნები, იმიტომ რომ არ მაქვს ინფორმაცია“ (ფოკუს-ჯგუფი, მასწავლებელი, ხონის მუნიციპალიტეტი).*

მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებით გამოიყო სოციალური მუშაკის საჭიროება სკოლაში - *„კარგი იქნება, თუ ის იმუშავებს, როგორც მოსწავლეებთან, ასევე მისი ოჯახის წევრებთან და ეს შეცვლის ჩვენს რეალობას“ (სკოლის დირექტორი, სენაკის მუნიციპალიტეტი).* ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე მასწავლებელთა უმრავლესობამ აღნიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სკოლებში *„სპეციალიზებული პირის“ არსებობა, რომელიც სკოლაში ფსიქოლოგის არარსებობის შემთხვევაში პასუხისმგებელი და ჩართული იქნება ძალადობის წინააღმდეგ სკოლის აქტივობების დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგის პროცესში.*

პრაქტიკულად ყველა რესპონდენტმა დაასახელა **სკოლებში ფსიქოლოგიური სერვისის არსებობის საჭიროება,** რაც ადგილზე მიუწვდომელია რეგიონების, სოფლის მოსწავლეებისთვის - *„უნდა მოხდეს სკოლებში ნახევარ განაკვეთზე მაინც ფსიქოლოგის შტატის დამატება, ამის საჭიროება ნამდვილად გვაქვს“ (რესურსცენტრის*

წარმომადგენელი, იმერეთი). ფსიქოლოგის შტატი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფლიქტის გამყოფ ზოლთან ახლოს არსებულ სკოლებში - *„სადაც ყოველდღიურ სტრესში არიან ბავშვები“, ბავშვთა ფსიქოლოგის შესვლა სკოლაში აუცილებელია“ (რესურსცენტრის წარმომადგენელი, სამეგრელო).*

კვლევაში მონაწილე მასწავლებლებმა გამოკვეთეს სოფლებში მერის წარმომადგენლების უფრო აქტიური მუშაობის აუცილებლობა. უმრავლესობა თვლის, რომ რეფერირების სუბიექტების, მათ შორის პოლიციის, სოციალური მუშაკის, ექიმების და სოფლის მერის წარმომადგენლების მონაწილეობით პერიოდულად უნდა იმართებოდეს საინფორმაციო შეხვედრები, როგორც მშობლებთან, ასევე მოსწავლეებთან, მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით - *„არ მახსენდება ჩემს სკოლაში მსგავსი შეხვედრები. ერთი-ორი წლის წინ რაღაც იყო, მაგრამ მას შემდეგ არა. სოციალური მუშაკების ჩართულობა საერთოდ არ მინახავს“ (მასწავლებელი, ბაღდათის მუნიციპალიტეტი).*

შეიძლება ითქვას, რომ სკოლის პერსონალი მზადაა, უფრო გააქტიურდეს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ამისთვის გაძლიერება და განათლების სამინისტროსგან მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ - *„სკოლა არის ხერხემალი ამ პრობლემის მხილების საქმეში. სკოლის ეს ფუნქცია უნდა გაძლიერდეს. განათლების სისტემა უნდა დაეხმაროს სკოლებს, რომ ეს მისია გააძლიერონ“ (ფოკუს-ჯგუფი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი).* განათლების **სამინისტრომ პრიორიტეტად უნდა დაუსახოს სკოლებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა,** სხვა შემთხვევებში შედეგი დაიგვიანებს - *„საჭიროა კონკრეტული დირექტივა სამინისტროდან ჩვენი პირდაპირი ვალდებულების შესახებ. ამის არარსებობა არის ერთ-ერთი პრობლემა, თუ რატომ ვერ ხედავს სკოლა თავის როლს ამ კუთხით“ (სკოლის დირექტორი, სენაკის მუნიციპალიტეტი).*

9. დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე მონიტორინგით გამოკვეთილმა სურათმა ნათლად დაადასტურა სკოლებში გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ მიზნობრივი, პროაქტიული პოლიტიკის დაჩქარებულად გატარების აუცილებლობა, რადგან გაბატონებულ სტერეოტიპულ შეხედულებებს ქალისა და მამაკაცის უნარებისა და როლების შესახებ, უაღრესად მავნე გავლენა აქვს საზოგადოებაზე, აფერხებს ინდივიდების შესაძლებლობების გამოვლენას, წარმატების მიღწევას და, შესაბამისად, ქვეყნის განვითარებასაც - *„ცოდნა სინათლეა და გენდერული განათლება მნიშვნელოვანია წინსვლისთვის“ (გენდერის ექსპერტი).*

მასწავლებლები ყოველგვარი გაიდლაინების მიღმაც, ვალდებულნი არიან, მოსწავლეები თანასწორობის სულისკვეთებით აღზარდონ, თუმცა ამ იდეების დეკლარირება საკმარისი არ არის. რეალური ცვლილებებისა და გარდამტეხი გამარჯვების მისაღწევად, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, აუცილებელია, სახელმწიფომ აქტიურად იმუშაოს სკოლებში გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად და პრიორიტეტად დაისახოს სკოლიდანვე ბავშვების, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება, მათი აღზრდა თანასწორობაზე დაფუძნებული ღირებულებებით. სახელმწიფომ მასწავლებელებს უფრო კონკრეტული, ნათლად გასაგები ინსტრუქციები უნდა მიაწოდოს და მოსთხოვოს აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით, ასევე უნდა დაინერგოს შედეგების მონიტორინგის მექანიზმი, რადგან სკოლაზე უკეთესი საშუალება - მოქალაქეების თანასწორობისა და არაძალადობრივი სულისკვეთებით აღზრდისთვის - სახელმწიფოში არ არსებობს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, **აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:**

- განათლების პოლიტიკაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის იდეის მეტად გამოკვეთა და განხორციელება; მნიშვნელოვანია, დასახულ მიზანთა მისაღწევად, განათლების სამინისტროს მიერ კონკრეტული, დროში გაწერილი და შესაბამისი, მკაფიო ინდიკატორების მქონე გეგმის შემოთავაზება;
- სკოლებში, ყველა საფეხურის სასწავლო პროგრამაში, გენდერული თანასწორობის ასპექტის უკეთ გათვალისწინება და რეალურად დანერგვა; სკოლებისთვის ნათელი განმარტებისა და ინსტრუქციების მიცემა გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ;
- სკოლებისა და კონკრეტული მასწავლებლების ძალისხმევის წახალისება და მხარდაჭერა გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, მათ შორის, სხვადასხვა პროექტის გამოცხადების, ჯილდოების დაწესების და სხვა ფორმით;

- სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების რეალური რევიზია და სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციის გამამყარებელი ტექსტების, შინაარსის ამოღება; ასევე, საჭიროებისამებრ, სათანადო მინიშნებების გაკეთება გენდერულად არასენსიტიურ მასალაზე; სახელმძღვანელოების გრიფირებისას გენდერული ასპექტების მეტად გათვალისწინება და პროცესში შესაბამის სპეციალისტთა ჩართვის უზრუნველყოფა;
- გოგონებისთვის სწავლის ხელშეწყობის პროგრამების გააქტიურება და სწავლის შეწყვეტის ყოველი ფაქტის რეალური მიზეზების საგულდაგულო გამოძიება და აღნიშნულ ფაქტებზე რეაგირება; გოგონათა მტკიცე მხარდაჭერა და უფლებების დაცვა ამ პროცესში;
- მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის სრული შემადგენლობის სავალდებულო გადამზადება, სისტემატური პროფესიული განვითარების ტრენინგების შეთავაზების გზით, გენდერული თანასწორობის, გენდერული სტერეოტიპებისა და ოჯახში ძალადობის საკითხებში;
- სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების კომპეტენციის შეფასებისას ან/და ახალ თანამშრომელთა მიღებისას, ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად უნდა განისაზღვროს გენდერული განათლება და მგრძნობელობა;
- მასწავლებლებისთვის, მათი საგნების შესაბამისად, მეთოდოლოგიის, გაიდლაინებისა და ინსტრუქციების მიწოდება სწავლების პროცესში გენდერული სტერეოტიპების თავიდან აცილებისა და თანასწორობის ხელშეწყობისთვის;
- სკოლებისა და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის მხარდაჭერა, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის სკოლის კარის გახსნა და მათი რესურსის და ექსპერტიზის გამოყენება გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ უფრო ეფექტიანად ბრძოლისთვის, განსაკუთრებით, რეგიონებში, სადაც ხელმიუწვდომელია სხვა რესურსები;
- სკოლების ინტერნეტიზაციისა და მასწავლებელთა/მოსწავლეთა კომპიუტერით და შესაბამისი უნარებით უზრუნველყოფა რეგიონებში, რათა უფრო ხელმისაწვდომი გახდეს თანამედროვე ცოდნა და ინფორმაცია გენდერული თანასწორობის იდეის შესახებ;
- განათლების სამინისტროს მიერ მონიტორინგის განხორციელება იმ ინსტრუქციების შესრულებაზე, რომლებიც უკვე შემუშავებულია მასწავლებლებისთვის, სადაც ისახება ოჯახში ძალადობის ყველა რელევანტური ასპექტი და ძალადობის შეტყობინების სისტემა სკოლებში და ასევე მოხდეს შეტყობინების პროცესის სქემის დეტალურად აღწერა;
- განათლების სამინისტროს მხრიდან ძალადობის პრევენციის მოდულების შემუშავება და ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სახელმძღვანელოებში შეტანა;

- რეფერალური სისტემის ყველა სუბიექტის მხრიდან, სკოლებთან თანამშრომლობის გაძლიერება და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით რესურსცენტრის წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს განათლების განყოფილების ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების პრაქტიკის დანერგვა;
- განათლების სამინისტროს, მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან უფრო ხშირი საჯარო გამოსვლები, რომ ისინი მხარს უჭერენ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას და გენდერული სტერეოტიპების მსხვრევას;
- განათლების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - რესურსცენტრების თანამშრომლების აქტიური ჩართვა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ პრევენციულ ღონისძიებებში და მათი პროაქტიული თანამშრომლობა ადგილობრივი რეფერალური სისტემის ყველა სუბიექტთან;
- კოორდინაციული მექანიზმის და თანამშრომლობის გაძლიერება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე. სისტემატური შეხვედრების გამართვა სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებებს, ტერიტორიული რესურსცენტრების წარმომადგენლებს, სკოლის ადმინისტრაციას და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, სადაც ისინი ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებებსა და მეთოდოლოგიას გაუზიარებენ. შეაფასებენ არსებულ რეალობას და ერთად, კოორდინირებულად იზრუნებენ გამოწვევებთან გამკლავების სტრატეგიებზე;
- განათლების სამინისტროს მხრიდან წახალისდეს რესურსცენტრების თანამშრომლობა გენდერულ საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რაც ხელს შეუწყობს მათი ცოდნის და კვალიფიკაციის გაღრმავებას გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ასევე გაზრდის გენდერული სტერეოტიპების და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ინიციატივებს სკოლებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იაგო კაჭკაჭიშვილი, ხატი ნადარაია (ავტორები) (2014). „კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“, თბილისი

2. ნათია გიორგაძე (2015). გენდერული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

3. ნანა ბერეკაშვილი (2012). გენდერული სოციალიზაციის ფაქტორები განათლების კონტექსტში, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საკანონმდებლო აქტები:

4. საქართველოს კონსტიტუცია

5. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“

6. გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია - განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია

7. „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს კონვენცია;

8. კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“

9. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ”

10. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“

11. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“

12. საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

13. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

14. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 აპრილის №175 დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“

15. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 ივნისის №92/ნ ბრძანება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

16. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი

17. „ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის №768 ბრძანების დანართი N1 - 5. შესაბამისობა სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებთან

18. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №47ნ, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“

19. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №141/ნ, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“

ინტერნეტ გამოცემები:

20. „საღვთო წერილი ამბობს, რომ ოჯახის მეთაური არის ქმარი. ოჯახი – ეს არის ერთი სხეული და არ შეიძლება, რომ ერთ სხეულზე იყოს ორი თავი. ეს შეუძლებელია,“ – განაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 29 აპრილს, საკვირაო ქადაგებისას, იხ.: „რწმენა და გენდერული თანასწორობა“ - https://netgazeti.ge/opinion/13831/

21. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი მართლმადიდებლური თეოლოგიის მიხედვით - http://feminism-boell.org/ka/2015/09/20/kalisa-da-kacis-tanascorobis-sakitxi-martlmadidebluri-teologiis-mixedvit

22. მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ (კვლევის ანგარიში), 2014 წ. - http://www.parliament.ge/uploads/other/75/75678.pdf

23. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017 წ., https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/national%20vaw%20study%20report%20geo.pdf?la=ka&vs=0

24. გენდერული სტერეოტიპების განმარტება, Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=9581

25. სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის თაობაზე - 2019 წ. http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-qoveltsliuri-saparlamento-angarishi-adamianis-uflebebisa-da-tavisuflebebis-datsvis-mdgomareobis-taobaze-2019

26. ქალები ფემიციდის წინააღმდეგ – 8 მარტს ფილარმონიასთან აქცია გაიმართება - https://netgazeti.ge/news/431959/

27. საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების ანგარიში, გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/6971Report2016-2017.pdf

28. საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი - http://www.parliament.ge/uploads/other/75/75669.pdf

29. ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია (სამუშაო ვერსია) - https://police.ge/files/pdf/dzaladobis%20strategia%20saitze%20dasadebi.pdf

30. სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი - http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf

31. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში - https://mes.gov.ge/publicInfo/?page–id=103

32. გუპტა, ტ.პ., ტეილორი, ა., ლაურო, ჯ., შენგელია, ლ., სტურუა, ლ. (2018). „ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში“ - თვისობრივი კვლევის საბოლოო ანგარიში. თბილისი, საქართველო და ვაშინგტონის ოლქი, აშშ; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, Promundo-US, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) - https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/Exploring%20Harmful%20Practices%20of%20EarlyChild%20Marriage%20and%20FGMC%20in%20Georgia%20GEO.pdf

33. „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“ - https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE–UNDP–Gender–Research–GEO.pdf

34. „წიგნიერებაში ყველაზე მეტად გვიჭირს“ – PISA 2018 და ქართველი მოსწავლეების გაუარესებული შედეგები - https://edu.aris.ge/news/wignierebashi-yvelaze-metad-gvichirs-pisa-2018-da-qartveli-moswavleebis-gauaresebuli-shedegebi.html

35. გენდერული სტერეოტიპები სასკოლო სახელმძღვანელოებში - https://bit.ly/2V71MDr

36. გენდერული და სოციალური ინკლუზიის სახელმძღვანელო ტრენინგების მოდულის ავტორებისთვის - http://old.tpdc.ge/uploads/pdf–documents/genderi1.pdf

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

კვლევაზე მუშაობდნენ

ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობის ოფისის

წარმომადგენლები:

ეკატერინე გამახარია, ლელა ხათრიძე, ლინდა ჩიხლაძე

ქუთაისის სათაო ოფისის

მონიტორინგის ჯგუფის წევრები:

ემა კამკია, ხათუნა გოგუა, თეა გოლეთიანი

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

რედაქტორი - ლალი შენგელია

დაკაბადონება - ლია კოსტავა

მისამართები:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის 6

ტელ: (431) 27 13 68

597 40 51 46

ელფოსტა: womansukhumi@gmail.com

ქ. თბილისი, მიცკევიჩის 29 / 29ა, მეორე სართული, საოფისე ფართი №2

ტელ: 599 73 47 57

ელფოსტა: fundsukhumitbilisi@gmail.com

ვებგვერდები:

www.fsokhumi.ge

www.csoforum.ge

www.fsv4.ge

ფეისბუქგვერდები:

www.facebook.com/fsokhumi/

www.facebook.com/CSOForum.FS/

www.facebook.com/FundSukhumi.VisegradFund/

skype: fund.sukhumi